



„სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამა

კვლევის ანგარიში

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

2010 წელი

ლევან ფანიაშვილი – კვლევის ხელმძღვანელი
ლალი შალვაშვილი – კვლევის კოორდინატორი

მკვლევარები (ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი):

ნათია აფხაზავა
ირაკლი ანანიძე
მინდია სალუქვაძე
მაია ბერაძე

ექსპერტები (კვლევის ანალიზი\რეკომენდაციები):

დავით ნარმანია
სანდრო სვანიშვილი
ვაჟა სალამაძე
ლალი შალვაშვილი
გურანდა რომანაძე

**კვლევა მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და არ წარმოადგენს
The Black Sea Trust for Regional Cooperation, A Project of the German Marshall Fund-ის
პოზიციას.**

1. შესავალი.....	3
2. „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის სამართლებრივი საფუძველი და გამოყოფილი თანხების მოცულობა.....	7
2.1 2009 წლის პროგრამა	7
2.1.1 სამართლებრივი საფუძველი	7
2.1.2 თანხების მოცულობა	9
2.2 2010 წლის პროგრამა	12
2.1.1 სამართლებრივი საფუძველი	12
2.1.2 თანხების მოცულობა	13
3. კვლევის განზოგადებული შედეგები – 2009 წლის სახელმწიფო პროგრამა	17
3.1 პროგრამის რეალიზაცია და მიღებული შედეგები	17
3.1.1 პროგრამის მასშტაბები და თანადაფინანსება	17
3.1.3 მოსახლეობის შეფასება დაფინანსებულ/შესრულებულ პროექტებზე... ..	19
3.2 პროგრამის მონიტორინგი და ანგარიშგება	20
3.2.1 მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარება.....	20
3.2.2 საკრებულოსთვის ანგარიშის ჩაბარება	21
4. კვლევის განზოგადებული შედეგები – 2010 წლის სახელმწიფო პროგრამა	23
4.1 პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის დონე.....	23
4.1.1 რწმუნებულების და დეკლარაციების ინფორმირებულობა.....	23
4.1.2 პროგრამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა	23
4.2 ადგილობრივი პრიორიტეტების შერჩევაში მოსახლეობის ჩართულობა ...	25
4.2.1 კონსულტაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ინსტრუმენტები	25
4.2.2 კონსულტაციების ფორმა და ინსტრუმენტები	27
4.2.3 კონსულტაციებში მონაწილე მოსახლეობის კატეგორია	31
4.2.4 კონსულტაციებში მონაწილე მოხელეები და მათი როლი	33
4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა.....	34
4.4 თანხების განაწილების ფორმულის შეფასება.....	36
4.5 რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემები	36
5. დასკვნები და რეკომენდაციები.....	39
5. 1 დასკვნები	39
5. 2. რეკომენდაციები	43

1. შესავალი

წინამდებარე კვლევა ეძღვნება ადგილობრივი პრობლემების გამოვლენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხის შესწავლას „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის მაგალითზე.

„სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამა 2009 წლიდან მიმდინარეობს, იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას და პრობლემების გამოვლენა-შერჩევაში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამისთვის 20 მილიონამდე ლარი გამოიყო, ხოლო 2010 წელს თანხა გაორმაგდა და 40 მილიონი ლარი შეადგინა. სახელმწიფო პროგრამა შეიძლება განხილული იქნეს როგორც მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი ადგილობრივ მოსახლეობისათვის თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობისათვის, შესაბამისად მნიშვნელოვანია დეტალურად შესწავლილ იქნეს და გაანალიზდეს პროგრამის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ იმ ფონზე, რომ პროგრამა არ არის ინსტიტუციონალიზირებული, არ არსებობს ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენისა და პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ერთიანი მეთოდოლოგია, ხოლო მეორე მხრივ იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება კვლავ გეგმავს მომავალ წლებში პროგრამის გაგრძელებას.

აქედან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, შავი ზღვის ფონდის (BST) ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა და განახორციელა „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის არსებული პრაქტიკის კვლევა, რომლის ფარგლებშიც ერთი მხრივ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სახელმწიფო პროგრამის იმპლემენტაციის პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

მიზანი

კვლევის ძირითადი მიზანია „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესისა და მის იმპლემენტაციაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის შესწავლა-ანალიზი, აგრეთვე პროგრამის ეფექტურობისა და მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდის რეკომენდაციების შემუშავება.


მეთოდოლოგია

არსებული სრული სურათის მისაღებად კვლევა წარიმართა ორი მიმართულებით. კერძოდ, ერთი მხრივ, შესწავლილი იქნა „სოფლის მხარდაჭერის“ 2009 და 2010 წლის სახელმწიფო პროგრამების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, ხოლო მეორე მხრივ, „სოფლის მხარდაჭერის“ 2009 და 2010 წლის სახელმწიფო პროგრამების იმპლემენტაციის პროცესი ყველა მონაწილე ინტერესთა ჯგუფების მიხედვით – თემის რწმუნებულები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, სამიზნე თემების მოსახლეობა.

მონაწილე ინტერესთა ჯგუფების მიხედვით კვლევა ჩატარდა 2010 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით. კვლევის არეალად განისაზღვრა საქართველოს ორი რეგიონის 4 მუნიციპალიტეტი, კერძოდ: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; ბ) გურიის რეგიონი – ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები.

კვლევა ჩატარდა სამიზნე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) 1/3-ში, რამაც ჯამში შეადგინა 26 ადმინისტრაციული ერთეული (თემი). აქედან კვლევამ მოიცვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამიზნე მუნიციპალიტეტების 10 ადმინისტრაციული ერთეული და გურიის რეგიონის სამიზნე მუნიციპალიტეტების 16 ადმინისტრაციული ერთეული.

დიაგრამა #1. ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულებისა (თემების) და მასში შემავალი სოფლების შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით თანხების განაწილების წესი, რომლის სტრუქტურა დამოკიდებულია სოფლის მაცხოვრებელთა რაოდენობაზე. რანჟირების ასეთი მეთოდი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ აქვს თუ არა პროგრამის იმპლემენტაციას სპეციფიკები დიდ, საშუალო და პატარა სოფლების მიხედვით.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით თანხების განაწილების წესზე დაყრდნობით, სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში (თემებში) ჯამში შეირჩა 38 სოფელი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარდა ფოკუს ჯგუფები. საკვლევად შეირჩა შემდეგი სახის სოფლები: ა) 51–დან 200–სულამდე; ბ) 201–დან 400–სულამდე; გ) 401–დან 1000–სულამდე; დ) 1000–ზე მეტსულიანი.

ცხრილი #1. სოფლების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	51–დან 200– სულამდე,	201–დან 400– სულამდე,	401–დან 1000– სულამდე,	1000–ზე მეტსულიანი	სულ
ოზურგეთი	2	2	5	3	12
ჩოხატაური	2	1	4	3	10
ქობულეთი	3	0	3	3	9
ხელვაჩაური	1	2	2	2	7
სულ	8	5	14	11	38

კვლევამ მოიცვა „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში მონაწილე ყველა ძირითადი აქტორი – სამიზნე ადმინისტრაციული


ერთეულების სოფლის რწმუნებულები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები და ადგილობრივი მოსახლეობა.

შემუშავდა 3 სხვადასხვა კითხვარი – მოსახლეობისთვის (14 საკითხი), რწმუნებულისთვის (18 კითხვა) და დეპუტატისთვის (19 კითხვა). კითხვარები მოიცავდა 2009 და 2010 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის მიმდინარეობის ამსახველ ძირითად საკითხებს – მოსახლეობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლების ინფორმირების დონე, ფორმები და მექანიზმები, პროცესში მოქალაქეთა და თვითმმართველობის წარმომადგენელთა როლი და მონაწილეობა, პრიორიტეტების შერჩევის ფორმები და მექანიზმები, სახსრების განაწილების სამართლიანობა და ეფექტურობა.

ინფორმაციის შეგროვების ტექნიკად თვითმმართველობის მოხელეებთან გამოყენებულ იქნა ჩალრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) 26 რწმუნებულთან და 25 მაჟორიტარ დეპუტატებთან (ერთ დეპუტატთან შეხვედრა ვერ მოხერხდა). სულ ჩატარდა 51 ინტერვიუ.


მოსახლეობის გამოკითხვის მიზნით გამოყენებულ იქნა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) სოფლებში ჯამში ჩატარდა 38 ფოკუს-ჯგუფი (ოზურგეთი – 12, ჩოხატაური – 10, ქობულეთი – 9, ხელვაჩაური – 7). ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 387-მა მოქალაქემ.

დიაგრამა #2. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით




თითო ფოკუს-ჯგუფს ესწრებოდა საშუალოდ 10 მოსახლე, მონაწილეთა ასაკი 16–დან 78 წლამდე მერყეობს, ყველაზე მეტად სჭარბობს 45–დან 64 წლამდე ასაკის ადამიანები.

დიაგრამა #3. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფები



ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობას იღებდა 182 ქალი და 205 კაცი. მათგან 42% დასაქმებულია, ხოლო 40% დროებით უმუშევარია.

დიაგრამა #4. რესპოდენტთა სოციალური სტატუსი



2. „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის სამართლებრივი საფუძველი და გამოყოფილი თანხების მოცულობა

2.1 2009 წლის პროგრამა

2.1.1 სამართლებრივი საფუძველი

2009 წელს სახელმწიფო პროგრამის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N35 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“. მთავრობის განკარგულების ნორმატიულ საფუძველად მითითებულია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. თავის მხრივ, ფონდის შექმნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წ. 28 დეკემბერს დამატებული 13¹ მუხლი, რომლის თანახმად „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელსაც განკარგავს საქართველოს მთავრობა მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად“.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N35 განკარგულებით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მათ შემადგენლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 19 998 876 ლარი, განკარგულების დანართით თითოეული მუნიციპალიტეტისთვის დადგენილი ოდენობით. მუნიციპალიტეტების გამგეობებს დაევალიათ გამოყოფილი თანხის წარმართვა თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის ან/და კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოების დასაფინანსებლად. განკარგულებით დაშვებულ იქნა აუცილებლობის შემთხვევაში გამოყოფილი თანხის გაერთიანება ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ დასახლებათა საერთო ინტერესების შესაბამისად.

მთავრობის განკარგულებაში 2009 წლის 9 მარტს შეტანილ იქნა დამატება, რომლის მიხედვითაც თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ უფლება სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შესრულების უზრუნველსაყოფად საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებინათ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

განკარგულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვრა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში (შემდგომში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი).

მთავრობის განკარგულებამ რეგულირების გარეშე დატოვა: პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განმარტება, გამოყოფილი თანხების გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის პროცედურები და პროგრამის განხორციელების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ ვაკუუმის შევსების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტრომ გამოსცა (მას არ გააჩნდა სამართლებრივი აქტის ფორმა) სარეკომენდაციო ხასიათის გზამკვლევი, რომელმაც ფაქტიურად შექმნა 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის შესრულების სარეკომენდაციო რეგულაციური საფუძველი.

გზამკვლევში პირველად დაფიქსირდა პროგრამის დღევანდელი სახელწოდება - „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა და პროგრამის მიზნები. კერძოდ, პროგრამის მიზნებად განისაზღვრა:

- ❖ სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაწყვეტა;
- ❖ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- ❖ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაღრმავება და ურთიერთდობის აღდგენა;
- ❖ თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერება და გამგეობის რწმუნებულის უფლებამოსილების გაზრდა.

გზამკვლევში ასევე დაკონკრეტდა თუ რას ნიშნავს პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. გზამკვლევის მიხედვით ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (მაგ. ხიდის აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრეთა გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ა.შ) და სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება (მაგ. სოფლის წყაროს მოწყობა, მოსახლეობის თავშეყრის ადგილის მოწყობა, სოფლის სტადიონის შეკეთება, სოფლის კლუბის მოწყობა და ა.შ).

გზამკვლევში მითითებულია პროგრამით გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის პროცედურები, რომელიც გამგეობის რწმუნებულს ავალდებულებდა საკრებულოს შესაბამის წევრთან ერთად სოფლის მოსახლეობის გამოკითხვას, საჭიროების შემთხვევაში კი სოფლის კრების ჩატარებას, საჯარო განხილვებს და მოსახლეობასთან, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, სოფლისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის შეთანხმებას.

გზამკვლევში მოცემულ იქნა გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები:

- ❖ შესრულებული სამუშაო მხოლოდ საჯარო სარგებლობის ისეთი ობიექტის აღდგენა-რეაბილიტაციისკენ უნდა მიმართულიყო, რომლითაც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ისარგებლებდა;
- ❖ შესრულებულ სამუშაოს არ უნდა ჰქონოდა ერთჯერადი ეფექტის ხასიათი, არამედ ხანგრძლივი გამოყენების მოხმარებისკენ უნდა მიმართულიყო;
- ❖ სამუშაო უმთავრესად სოფლის მოსახლეობას უნდა შესრულებინა.

გზამკვლევში განსაკუთრებით საყურადღებოა მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხები – მოსახლეობის მონაწილეობის საჭიროება, როგორც პროგრამის მიზნობრიობის განსაზღვრის, ისე განხორციელებისა და ანგარიშგების მიმართულებით. კერძოდ:

- ❖ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრაში მოსახლეობის უშუალო მონაწილეობა. გამგეობის რწმუნებულის მიერ სოფლის მოსახლეობის ინფორმირება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხის ოდენობის, ასევე მისი გამოყენების მიზნით შემოსული წინადადებების შესახებ, საჯარო განხილვების მოწყობა აღნიშნული თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის მიზნი;
- ❖ სოფლის მოსახლეობის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების უშუალო კონტროლი, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უპირატესად სოფლის მოსახლეობის დაქირავება;

- ❖ სოფლის რწმუნებულის მიერ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ სოფლის მოსახლეობისათვის ანგარიშის გაცნობა.

2.1.2 თანხების მოცულობა

2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 19 998 876 (ცხრამეტი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაას სამოცდათექვსმეტი) ლარი. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის №35 განკარგულების დანართით ფონდიდან გამოყოფილი თანხა რეგიონების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 2 163 936 ლარი; გურია - 1 122 077 ლარი; იმერეთი - 3 463 265 ლარი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 736 653 ლარი; სამცხე-ჯავახეთი - 1 500 354 ლარი; მცხეთა-მთიანეთი - 1 239 458 ლარი; კახეთი - 2 560 523 ლარი; ქვემო ქართლი - 2 697 509 ლარი; სამეგრელო - ზემო სვანეთი - 2 680 869 ლარი; შიდა ქართლი - 1 807 240 ლარი.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად: ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 534 830 ლარი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 681 382 ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი – 547 574 ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი – 254 308 ლარი.

2009 წელს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში სულ განხორციელდა **4 668** პროექტი. განხორციელებული პროექტებიდან როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი თვალსაზრისით, მთლიანად საქართველოს მასშტაბით, საშუალოდ 3 ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა: **1. შიდა გზების რეაბილიტაცია** – სულ 918 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 19,7%, რაზეც დაიხარჯა 3 532 055 ლარი, ანუ მთელი თანხის 17,7 %; **2. სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება** – სულ 825 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 17,7%, რაზეც დაიხარჯა 3 447 210 ლარი, ანუ მთელი თანხის 17,2%; **3. სასაფლაოების შემოღობვა** – სულ 402 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 8,6%, რაზეც დაიხარჯა 1 723 519 ლარი, ანუ მთელი თანხის 8,6%.

ცხრილი #2 პრიორიტეტები მთელი საქართველოს მასშტაბით (2009 წლის პროგრამა)


	პრიორიტეტები	პროექტი	%	ლარი	%
1	სასმელი წყლის სისტემები	825	17.7%	3,447,210	17.2%
2	საკანალიზაციო სისტემები	7	0.1%	12,899	0.1%
3	სარწყავი სისტემები	114	2.4%	886,012	4.4%
4	სანიაღვრე არხის მოწყობა	232	5.0%	1,037,151	5.2%
5	სკოლები, ბაღები	89	1.9%	402,564	2.0%
6	გარე განათება	73	1.6%	441,248	2.2%
7	შიდა გზების რეაბილიტაცია	918	19.7%	3,532,055	17.7%
8	ხიდების რეაბილიტაცია	239	5.1%	905,982	4.5%

9	სპორტული მოედნები	288	6.2%	1,675,291	8.4%
10	საბინაო ამხანაგობები	4	0.1%	93,086	0.5%
11	კულტურის სახლის რემონტი	86	1.8%	530,272	2.7%
12	სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანების შეძენა	6	0.1%	16,264	0.1%
13	სასაფლაოს შემოღობვა	402	8.6%	1,723,519	8.6%
14	რიტუალების სახლები	291	6.2%	1,172,942	5.9%
15	წაპირსამაგრი სამუშაოები	14	0.3%	75,603	0.4%
16	სკვერები, ბალები	47	1.0%	259,422	1.3%
17	სკოლამდელი დაწესებულებები	4	0.1%	54,788	0.3%
18	ამბულატორიის შენობის რემონტი	12	0.3%	61,581	0.3%
19	ეკლესიის შეკეთება	62	1.3%	243,155	1.2%
20	გაჩერების, მოსაცდელის მოწყობა	249	5.3%	876,078	4.4%
21	წისკვილის რეაბილიტაცია	84	1.8%	168,508	0.8%
22	ტრაქტორების, სოფ. ტექნიკის შეძენა	91	1.9%	121,957	0.6%
23	თავშეყრის ადგილის მოწყობა	105	2.2%	520,438	2.6%
24	სხვა სამუშაოები	426	9.1%	1,740,254	8.7%
	სულ	4 668 (პროექტი)		19 998 876 (ლარი)	


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის საერთო მონაცემების მიხედვით, განისაზღვრა 3 საშუალო ძირითადი პრიორიტეტი. თუმცა რეგიონების მიხედვით განსხვავებული სურათი მივიღეთ, ანუ სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას მიენიჭა პრიორიტეტი. აგრეთვე გამოიკვეთა სპეციფიკური ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც დამახასიათებელი კონკრეტული რეგიონებისათვის.

რეგიონების მიხედვით განხორციელებული პროექტების ჯამური რაოდენობრივი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 546 პროექტი (2 163 936 ლარი); გურია - 298 პროექტი (1 122 007 ლარი); იმერეთი - 1013 პროექტი (3 463 265 ლარი); რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 306 პროექტი (736 653 ლარი); სამცხე-ჯავახეთი - 320 პროექტი (1 500 354 ლარი); მცხეთა-მთიანეთი - 506 პროექტი (1 239 458 ლარი); კახეთი - 391 პროექტი (2 560 523 ლარი); ქვემო ქართლი - 447 პროექტი (2 697 509 ლარი); სამეგრელო - ზემო სვანეთი - 482 პროექტი (2 680 869 ლარი); შიდა ქართლი - 383 პროექტი (1 807 240 ლარი).

დიაგრამა #5. სამი პრიორიტეტული პრობლემა რეგიონალურ ჭრილში განხორციელებული პროექტების საერთო რაოდენობიდან (2009 წლის პროგრამა)



დიაგრამა #6. სამი პრიორიტეტული პრობლემა რეგიონალურ ჭრილში დახარჯული თანხების მოცულობის მიხედვით (2009 წლის პროგრამა)



2.2 2010 წლის პროგრამა

2.1.1 სამართლებრივი საფუძველი

2009 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, რომელშიც უკვე ნორმატიულად იქნა განსაზღვრული როგორც პროგრამის მიზნები, ისე მისი განხორციელების პროცედურები. ამ დადგენილების მიღების საკანონმდებლო საფუძველად მითითებულია „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 40 მილიონი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პროგრამის მიზნები და პროგრამით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის განსაზღვრის კრიტერიუმები, პრინციპში იმეორებს გზამკვლევში მოცემულ დებულებებს, თუმცა ამ შემთხვევაში მას უკვე არა სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო ხასიათი აქვს.

დადგენილება პირდაპირ განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში სოფლისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების კრიტერიუმებს, ესენია:

- ❖ შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტის აღდგენა–რეაბილიტაციისკენ, რომლითაც სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას;
- ❖ შესრულებულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი და არ უნდა იყოს მიმართული ერთჯერადი, მოკლევადიანი მოხმარებისაკენ;
- ❖ სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს, შესაბამისი სოფლის (რამდენიმე სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანების შემთხვევაში – სოფლების) მოსახლეობა.

2010 წლის პროგრამაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს გამოყოფილი თანხების სოფლების მიხედვით განაწილების სტრუქტურა. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია როგორც 2010 წლისათვის პროგრამის მოცულობა, ასევე თანხების სოფლების მიხედვით გადანაწილების წესი, კერძოდ, თანხების განაწილება ხდება შემდეგნაირად:

- ❖ არა უმეტეს 50-სულიანი სოფლისათვის - 2000 ლარი;
- ❖ 51-დან 200-სულამდე სოფლისათვის – 4 000 ლარი;
- ❖ 201-დან 400-სულამდე სოფლისათვის – 5 000 ლარი;
- ❖ 401-დან 1 000-სულამდე სოფლისათვის – 8 000 ლარი;
- ❖ 1 000-ზე მეტსულიანი სოფლისათვის – 12 000 ლარი.

ასეთი წესით გაანგარიშების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებული დარჩენილი თანხა სოფლისათვის ნაწილდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებლები გაიანგარიშება სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და 8,10027895 კოეფიციენტის ნამრავლით.

დადგენილების თანახმად, თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან მხოლოდ წინასწარი კონსულტაციის შემდეგ. წინასწარი კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის

რწმუნებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას, ორგანიზებას უწევს სოფლის კრების მოწვევასა და გამართვას, აწყობს საჯარო განხილვებს და მოსახლეობასთან ათანხმებს პროგრამით სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობას. მოსახლეობასთან შეთანხმებულ წინადადებებს რწმუნებული წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას. თანხების მიზნობრივად გამოყენებისა და კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტების გამგეობებს.

დადგენილება დასაშვებად მიიჩნევა საერთო ინტერესების გათვალისწინებით რამდენიმე სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანებას, ამ სოფლების საერთო პრობლემის (მაგალითად, წყალსადენის სათავო ნაგებობის ან სარწყავი სისტემის გაწმენდა-რეაბილიტაცია, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება) გადასაწყვეტად.

მთავრობის დადგენილების თანახმად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლებელია დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახსრებით, ანუ შესაძლებელია მოხდეს თანადაფინანსება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის #41 განკარგულება განსაზღვრავს, რომ სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე დროში შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.1.2 თანხების მოცულობა

2010 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გაორმაგდა და შეადგინა 40 000 000 (ორმოცი მილიონი) ლარი. შესაბამისად გაორმაგდა თითოეული რეგიონისათვის გამოყოფილი თანხებიც. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №41 განკარგულების დანართით ფონდიდან გამოყოფილი თანხა რეგიონების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 4 313 869 ლარი; გურია - 2 346 833 ლარი; იმერეთი - 6 968 734 ლარი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 1 334 009 ლარი; სამცხე-ჯავახეთი - 2 935 574 ლარი; მცხეთა-მთიანეთი - 2 407 523 ლარი; კახეთი - 5 014 996 ლარი; ქვემო ქართლი - 5 232 363 ლარი; სამეგრელო - ზემო სვანეთი - 5 692 082 ლარი; შიდა ქართლი - 3 754 001 ლარი.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად: ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 1 076 882 ლარი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 1 397 981 ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - 1 125 623 ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - 541 901 ლარი.

2010 წელს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში 2009 წელთან შედარებით 1307 პროექტით მეტი განხორციელდა და სულ შეადგინა 5975 პროექტი. განხორციელებული პროექტებიდან როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი თვალსაზრისით მთლიანად საქართველოს მასშტაბით საშუალოდ შემდეგი 3 ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა: 1. შიდა გზების რეაბილიტაცია - სულ 1 507 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 25,2% (2009 წელს 918 პროექტი 19,7%), რაზეც დაიხარჯა 10 563 493 ლარი, ანუ მთელი თანხის 26,4 % (2009 წელს 3 532 055 ლარი, ანუ მთელი თანხის 17,7 %); 2. სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება - სულ 1 122 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 18,8% (2009 წელს 825 პროექტი 17,7%), რაზეც დაიხარჯა 7 161 359 ლარი, ანუ მთელი თანხის 17,9% (2009 წელს 3 447 210 ლარი, ანუ

მთელი თანხის 17.2%); 3. სარიტუალო სახლების აღჭურვა¹ – სულ 379 პროექტი და შეადგინა განხორციელებული პროექტების 6,3%, (2009 წელს 291 პროექტი, 6.2%) რაზეც დაიხარჯა 2 718 788 ლარი, ანუ მთელი თანხის 6,8% (2009 წელს 1 172 942 ლარი, ანუ მთელი თანხის 5.9%).

ცხრილი #3. პრიორიტეტები მთელი საქართველოს მასშტაბით (2010 წლის პროგრამა)

	პრიორიტეტები	პროექტი	%	ლარი	%
1	სასმელი წყლის სისტემები	1,122	18.8 %	7,161,359	17.9 %
2	საკანალიზაციო სისტემები	9	0.2 %	50,606	0.1 %
3	სარწყავი სისტემები	68	1.1 %	665,951	1.7 %
4	სანიაღვრე არხები	202	3.4 %	983,615	2.5 %
5	სკოლების რეაბილიტაცია (მთ. განკ-ით)	10	0.2 %	29,754	0.1%
6	სკოლების მშენებლობა	61	1.0 %	327,250	0.8 %
7	სკოლამდელი დაწესებულებები	115	1.9 %	1,086,201	2.7 %
8	ბაგა-ბაღების გათბობა, ფანჯრები	7	0.1 %	19,586	0.0 %
9	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,507	25.2 %	10,563,493	26.4 %
10	ხიდები	360	6.0 %	1,723,697	4.3 %
11	გარე განათება	209	3.5 %	1,451,382	3.6 %
12	მრავალბინიანი საცხ. სახლები, ამხანაგობები	5	0.1 %	20,461	0.1 %
13	ნაპირსამაგრი სამუშაოები	49	0.8 %	241,871	0.6 %
14	სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანები	13	0.2 %	161,982	0.4 %
15	ამბულატორიის შენობის რემონტი	38	0.6 %	271,087	0.7 %
16	წისქვილების რეაბილიტაცია	77	1.3 %	208,151	0,5 %
17	ეკლესიის შემოღობვა	48	0.8 %	296,030	0.7 %
18	კულტურის სახლები	174	2.9 %	1,628,162	4.1 %
19	სპორტული მოედნები	303	5.1 %	2,688,540	6.7 %
20	სკვერები, ბაღები	71	1.2 %	588,619	1.5 %
21	გაჩერების, მოსაცდელის მოწყობა	275	4.6 %	1,023,900	2.6 %
22	თავშეყრის ადგილების მოწყობა	121	2.0 %	697,954	1.7 %
23	სარიტუალო სახლების აღჭურვა	379	6.3 %	2,718,788	6.8 %
24	სასაფლაოს შემოღობვა	249	4.2 %	1,484,127	3.7 %
25	ტრაქტორების, სოფ. ტექნიკის შექმნა	83	1.4 %	332,484	0.8 %
26	სხვა სამუშაოები	420	7.0 %	3,574,805	8.9 %
	სულ	5 975 (პროექტი)		39 999 983 (ლარი)	


2010 წელს მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საერთო მონაცემების მიხედვით განისაზღვრა 3 საშუალო ძირითადი პრიორიტეტი, ეს სურათი განსხვავდება რეგიონების მიხედვით, ანუ სხვადასხვა რეგიონში ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებას

¹ 2009 წელს პრიორიტეტების სამეულში შედიოდა სასაფლაოების შემოღობვა.


განსხვავებული პრიორიტეტი მიენიჭა. აგრეთვე გამოიკვეთა სპეციფიკური ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული რეგიონებისათვის.

2010 წელს რეგიონების მიხედვით განხორციელებული პროექტების ჯამური რაოდენობრივი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 614 პროექტი (4 313 869 ლარი); გურია - 481 პროექტი (2 346 833 ლარი); იმერეთი - 1437 პროექტი (6 968 734 ლარი); რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 317 პროექტი (1 334 009 ლარი); სამცხე-ჯავახეთი - 424 პროექტი (2 935 574 ლარი); მცხეთა-მთიანეთი - 491 პროექტი (2 407 523 ლარი); კახეთი - 482 პროექტი (5 014 996 ლარი); ქვემო ქართლი - 405 პროექტი (5 232 363 ლარი); სამეგრელო - ზემო სვანეთი - 989 პროექტი (5 692 082 ლარი); შიდა ქართლი - 335 პროექტი (3 754 001 ლარი).

დიაგრამა #7. სამი პრიორიტეტული პრობლემა რეგიონალურ ჭრილში განხორციელებული პროექტების საერთო რაოდენობიდან (2010 წლის პროგრამა)



დიაგრამა #8. სამი პრიორიტეტული პრობლემა რეგიონალურ კრილში დახარჯული თანხების მოცულობის მიხედვით (2010 წლის პროგრამა)



3. კვლევის განხორციელებული შედეგები – 2009 წლის სახელმწიფო პროგრამა

3.1 პროგრამის რეალიზაცია და მიღებული შედეგები

3.1.1 პროგრამის მასშტაბები და თანადაფინანსება

პროგრამის მასშტაბები. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროექტები ყველა საკვლევ ადმინისტრაციული ერთეულში (26 თემი) განხორციელდა. რაც შეეხება სოფლებს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკვლევ ადმინისტრაციული ერთეულების მხოლოდ ერთ სოფელში არ განხორციელდა. მიზეზად თანხის სიმცირე სახელდება.

კვლევამ აჩვენა, რომ განხორციელებული პროექტების უმრავლესობით სარგებლობა მთელ სოფელს/თემს შეუძლია, თუმცა გვხვდება პროექტები, რომლითაც სოფლის ერთი კონკრეტული უბნის საჭიროება მოგვარდა. ასეთი ლოკალური პროექტებს ძირითადად ვხვდებით, იმ თემებში სადაც ერთი სოფელი შედის. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2 თემში განხორციელდა პროექტები, რომლითაც მთელი თემი სარგებლობს, თუმცა მათ პარალელურად ვხვდებით პროექტებს, რომლითაც კონკრეტული უბნების საჭიროებები მოგვარდა.

მართალია ერთეული შემთხვევებია, მაგრამ გვხვდება დაუსრულებელი პროექტებიც. მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში არასაკმარისი თანხების გამო ვერ დასრულდა სტადიონის შემოღობვა.

თანადაფინანსება. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა თვითმმართველ ერთეულებს პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებლად თანადაფინანსების უფლება აქვთ.

თვითმმართველობის მოხელეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ თითქმის ყველა საკვლევ ადმინისტრაციულ ერთეულში, 2009 წელს განხორციელებული პროექტები ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება მხოლოდ რამდენიმე თემში მოხდა. კერძოდ, თანადაფინანსებით განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2 თემში. აღნიშნულს ადასტურებენ როგორც თემების რწმუნებულები, ასევე დეპუტეტები. გამოყენებული თანადაფინანსების თანხების ოდენობა 1500–დან 2000 ლარამდე მერყეობს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების განხორციელებასთან დაკავშირებით, თემის რწმუნებულებისა და დეპუტატებისაგან რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მონაცემი მივიღეთ. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებული ამბობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით საშუალება მიეცათ განსაზღვრული პრობლემა მოგვარებულიყო, ანალოგიურს ამბობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულიც. თუმცა ორივე შემთხვევაში თემის მაჟორიტარი დეპუტატები თანადაფინანსებას არ ადასტურებენ.

3.1.2 სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება

2009 წლის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ სარეკომენდაციო გზამკვლევაში მიეთითა, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოები უმთავრესად უნდა შეესრულებინათ სოფლის მოსახლეობას.

როგორც ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ფოკუს-ჯგუფებმა ცხადყო, კერძო კომპანიების პარალელურად სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობა ასრულებდა. საერთო ჯამში კვლევის არეალში მდებარე უმეტეს ადმინისტრაციულ ერთეულებში, თემის რწმუნებულები, დეპუტატები და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ადასტურებენ, რომ სამუშაოები ძირითადად, ან ნაწილობრივ ადგილობრივმა მოსახლეობამ შეასრულა. რესპოდენტთა ინფორმაციით, გამონაკლისი ძირითადად იყო კონკრეტულად ის სამუშაოები, რომლებიც დაპროექტებას ითხოვდა ან საჭიროებდა კონკრეტულ სპეციალისტს. მაგალითად, ელექტრიკოსს, შუმის მჭრელს და ა.შ.

თუმცა სამუშაოებში მოსახლეობის ჩართულობის შესახებ ასევე გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებიც, მაგალითად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებული და დეპუტატი ამბობენ, რომ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული, თუმცა ამავე თემში შემავალი 2 სოფლიდან ერთ-ერთის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები დასაქმების შემთხვევებს არ ადასტურებენ. ანალოგიურია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის შემთხვევაშიც, რომლის რწმუნებული და დეპუტატი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ფაქტს ადასტურებენ, თუმცა ამავე თემში შემავალი ერთ-ერთი სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები არ ადასტურებენ აღნიშნულ ინფორმაციას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აცხადებენ, რომ 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მათ სოფელში დაიდგა „*რკინის ფანჩატური*“. იგი „*ორმა პირმა ამოიტანა და დააყენა, შესაბამისად, მათ სოფლის მოსახლეობის დახმარება არ სჭირდებოდათ*“. ასეთ შემთხვევებში ძნელია იმის თქმა, სამუშაოებს თემში შემავალი სხვა სოფლის მცხოვრებლები ასრულებდნენ თუ რომელიმე კომპანია. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში შემავალი 4 სოფლიდან ორის მცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ დასაქმებული მათი სოფლიდან არავინ იყო, თუმცა სამუშაოებს თემში შემავალი სხვა სოფლის მცხოვრებლები ასრულებდნენ.

გვაქვს ცალკეული შემთხვევები, როცა თავად მოსახლეობამ არ მიიღო მონაწილეობა სამუშაოების შესრულებაში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში შემავალი სოფლის მოსახლეობამ უარი განაცხადა, რადგან მათ ამისთვის დრო არ ჰქონდათ.

ცალკეულ შემთხვევებში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები დასაქმებულთა დაახლოებით რიცხვს ასახელებს – 4,5,6 ადამიანი სოფლიდან. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობა ამბობს რომ მათი სოფლიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იყო დასაქმებული „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებში. თავად ამ სოფელში 400 მოსახლე ცხოვრობს. ამავე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის ორი სოფლის მოსახლეობა აღნიშნავს რომ მთელი თემიდან რამდენიმე კაცი იყო დასაქმებული, მაშინ როცა თემში 2700-მდე მაცხოვრებელია.

კვლევის შედეგად ცალსახად ვერ გამოიკვეთა სოფლის მოსახლეობის მიერ სამუშაოების შესრულება უპირატესად ანაზღაურებადი იყო, თუ იგი საზოგადოებრივ საწყისებზე ხდებოდა. თუმცა ერთი რამ ცხადია, დასაქმებული მოსახლეობა სხვადასხვა ვითარებაში აღმოჩნდა – ნაწილმა მიიღო ანაზღაურება, ნაწილი კი საზოგადოებრივ საწყისებზე

მუშაობდა. მაგალითად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის დეპუტატი ამბობს, რომ მოსახლეობა მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობდა, ამასვე აცხადებენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი ფოკუს–ჯგუფის მონაწილეები და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის დეპუტატი. საპირისპიროს აცხადებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი სოფლის მოსახლეობა.

3.1.3 მოსახლეობის შეფასება დაფინანსებულ/შესრულებულ პროექტებზე

წინამდებარე კვლევით დავინტერესდით 2009 წლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები რამდენად იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტი.

შეიძლება ითქვას რომ ფოკუს–ჯგუფის მონაწილეთა შეფასებები, 2009 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ, თითქმის მსგავსია ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში და ამ მხრივ განსაკუთრებული სპეციფიკები არ იკვეთება. აღნიშნული ეხება როგორც მოგვარებული პრობლემების აქტუალობას, ისე შესრულებული პროექტების ხარისხს.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით საჭიროებები, რომლებიც მოგვარდა 2009 წელს ძირითადად საკვლევი სოფლის მოსახლეობის მიერ იყო დასახელებული და თვლიან, რომ მოგვარებული საკითხები ნამდვილად იყო სოფლისთვის მნიშვნელოვანი. განსხვავებული სურათი მივიღეთ საკვლევი სოფლების 1/3–ში, სადაც ფოკუს–ჯგუფების მონაწილეების ნაწილს უჭირს იდენტიფიცირება თუ ვის მიერ იყო დასახელებული საკითხი, ან მათი ნაწილი უარყოფს სოფლის მიერ საკითხის დასახელების ალბათობას. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სოფელს არ დაუსახელებია პრობლემა, თუმცა ფოკუს–ჯგუფების მონაწილეები თვლიან, რომ განხორციელებული პროექტი ნამდვილად იყო სოფლისათვის მნიშვნელოვანი. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის ფოკუს–ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გზის და ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდა, ეს დაბის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, თუმცა იგი არ იყო შეთანხმებული მოსახლეობასთან“. მათგან განსხვავებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი სოფლის ფოკუს–ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ – „საკითხები, რომლებიც მოგვარდა არ შეიძლება სოფლების მიერ ყოფილიყო დასახელებული, რადგან ჩვენს წინაშე უფრო სხვა პრობლემები დგას“. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი სოფლის ფოკუს–ჯგუფის მონაწილეები აცხადებენ – „მაშინ როცა სოფელში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რა საჭიროა მოსაცდელი, ისიც რკინის კონსტრუქცია. რომელსაც არცერთი მხრიდან არ აქვს კედელი“.

პრიორიტეტების დასახელებაში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხის შესწავლის გარდა, კვლევის ინტერესის საგანს განხორციელებული პროექტების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება წარმოადგენდა. ფოკუს–ჯგუფებიდან გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას მეტწილად არ აქვს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესახებ და უჭირს პასუხის გაცემა დაფინანსებული პროექტების სისწორეზე, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა ეჭვი ეპარებათ შესრულებული სამუშაოების ხარისხში. მიუხედავად ინფორმაციის დეფიციტისა, ფოკუს–ჯგუფის მონაწილეები მაინც ასახელებენ თავიანთ დამოკიდებულებას შესრულებული პროექტების ხარისხთან დაკავშირებით.

ვხვდებით პროექტებს, რომელთა შესრულების ხარისხი მოსახლეობისათვის მისაღებია, ზოგ სოფელში რამდენიმე პროექტის განხორციელება იგეგმებოდა, თუმცა მხოლოდ ნაწილი დასრულდა, შესაბამისად იქ მცხოვრები მოსახლეობაც ნაწილობრივ კმაყოფილია. მაგალითად, საკვლევის სოფლების ფოკუს-ჯგუფების ნაწილში მონაწილეები აცხადებენ, რომ კმაყოფილები არიან იმით რომ სოფელში ხიდები გაკეთდა, თუმცა გზა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მოსახლეობის აზრით არსებული თანხების პირობებში უკეთესად გაკეთებაც შეიძლებოდა. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილის განცხადებით – „სოფელი უკმაყოფილოა არც გზები გაკეთებულა ხარისხიანად და არც გარე განათება“. „მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ არაერთხელ მიგვიმართავს მუნიციპალიტეტისათვის. 2009 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რამდენიმე ქუჩაზე გაკეთდა მოსაცდელი, მაშინ როცა სკოლისაკენ მიმავალი ტროტუარი, გარე განათება, საკანალიზაციო სისტემა დაბისთვის ნომერ პირველი პრობლემებია“.

3.2 პროგრამის მონიტორინგი და ანგარიშგება

3.2.1 მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარება

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იყო მის იმპლემენტაციაში მოსახლეობის აქტიური ჩართვა, რაც ასევე მოიცავდა განხორციელებული პროექტების შესახებ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარებას. შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხების ათვისების შესახებ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარება წარმოადგენდა ერთ-ერთ საკვლევ საკითხს. 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ სარეკომენდაციო გზამკვლევაში მითითებული იყო, რომ გამგეობის რწმუნებული ვალდებულია სოფლის მოსახლეობას გააცნოს ანგარიში პროგრამით გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ. თუმცა, არ აკონკრეტებდა ანგარიშის ჩაბარების ფორმატსა და წესს.

თემის რწმუნებულების 60% და დეპუტატების 76% აცხადებს, რომ სხვადასხვა ფორმით მოხდა მოსახლეობისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის ჩაბარება, ხოლო ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ მათ არ სმენიათ ანგარიშების ჩაბარების შესახებ. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები – „ოცნებობენ რომ ვიღაც მივიდეს და ანგარიში ჩააბაროს...“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ „შეხვედრები იშვიათად იმართება და აუცილებელია, რომ მოსახლეობასთან იყოს ანგარიშგება და აქტიური ურთიერთობა“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგოა. სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულებიდან დაახლოებით 60% შემთხვევაში რწმუნებულის და დეპუტატის ინფორმაციები ერთმანეთს არ ემთხვევა, ან ორივე მათგანის მოსახლეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ა.შ. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებული ამბობს, რომ დეპუტატის ინიციატივით ჩატარდა კრება თემის ცენტრში და დეპუტატმა წარუდგინა ანგარიში, თავად მაჟორიტარი დეპუტატი თვლის რომ ოფიციალურად ანგარიში არ წარუდგენიათ, თუმცა ამბობს, რომ „მოსახლეობა თავად იყო განხორციელების პროცესში ჩართული და ინფორმირებულია“;

ამავე თემის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ არანაირი ფორმით მათთვის ანგარიში არ წარუდგენიათ.

თვითმმართველობის მოხელეებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსახლეობას ანგარიშს თემის რწმუნებული წარუდგენს, თუმცა ანგარიშის წარდგენას იშვიათად აქვს ოფიციალური სახე. კვლევიდან მიღებული მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ ანგარიშის წარდგენის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მოსახლეობასთან არაოფიციალური ინდივიდუალური შეხვედრებისას ზეპირი ინფორმაციის მიწოდება. თუმცა გამოიკვეთა მოსახლეობისათვის ანგარიშების წარდგენის სხვა ისეთი ფორმები, როგორცაა: თემის რწმუნებულის ოფისში წერილობითი ინფორმაციის გამოკვრა; სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში შეხვედრების ჩატარება; ბუკლეტების გავრცელება; 2010 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის პრეზენტაციისას ანგარიშგება და ა.შ. აგრეთვე იშვიათად გვხვდება პროგრამის ანგარიშის გამოქვეყნება გაზეთში (გაზეთ „გურია ნიუსში“).

მოსახლეობასთან ანგარიშგებისა და ჩართულობის განსხვავებული მექანიზმი გამოიყენეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში. მართალია რწმუნებული ამბობს, რომ მოსახლეობას ინფორმაცია პირადი საუბრების შედეგად მიეწოდა, მაჟორიტარი დეპუტატიც ადასტურებს, რომ ოფიციალურად ანგარიში არავის წარუდგენია, მაგრამ თემში შემავალ ყველა სოფელში მოქმედებდა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი კომისია, რომელიც მონიტორინგს უწევდა შესრულებულ სამუშაოებს, მისი თქმით ამ გზით მთელი პროცესი იყო გამჭვირვალე. ამავე თემის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ადასტურებენ, რომ ნდობა სოფელმა რამდენიმე ადამიანს გამოუცხადა, რომლებიც თვალს ადევნებდნენ მიმდინარე სამუშაოებს და აცნობდნენ შედეგებს მოსახლეობას.

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით, რამდენად განსხვავებულია ანგარიშგება მრავალ ან მცირე მოსახლიან სოფლებში, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ტენდენცია არ გამოკვეთილა.

3.2.2 საკრებულოსთვის ანგარიშის ჩაბარება

კვლევის ინტერესს წარმოადგენდა იმის დადგენა – წარედგინა თუ არა საკრებულოებს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ ანგარიშები და მისი წარდგენის ვადები. აქედან გამომდინარე, შესაბამისი კითხვით სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარ დეპუტატებს მივმართეთ. როგორც რესპონდენტების 92% აცხადებს, პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშები გამგეობების მიერ წარმოდგენილი იქნა და შესაბამისად მოსმენილი იქნა საკრებულოების მხრიდან. ამასთან, პროგრამის შესრულების შესახებ ცალკე ანგარიშის ჩაბარება არ მომხდარა, იგი ინკორპორირებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე ან/და საბოლოო ანგარიშებთან.

კვლევის შედეგად, განსხვავებული სურათი გამოიკვეთა ანგარიშის ჩაბარების ვადებთან და პროცედურებთან დაკავშირებით, ერთი მხრივ მუნიციპალიტეტების შიგნით, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ოზურგეთში რესპონდენტების 56% იხსენებს, რომ ასეთი სხდომა 2009 წლის დეკემბერში გაიმართა, 33% აცხადებს რომ ანგარიში განხილული იქნა, თუმცა განხილვის თარიღი არ

ახსოვს, ხოლო დარჩენილი 11% ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია ანგარიშის წარმოდგენა-განხილვის შესახებ. რესპონდენტების ნაწილის თქმით, ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარადგინა, თუმცა ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ანგარიში გამგებლის მოადგილემ წარადგინა. საკითხის წარდგენას, რესპონდენტების 67%-ის თქმით, მოჰყვა დისკუსია, ხოლო დარჩენილი ნაწილმა აღნიშნა რომ საკრებულომ ცნობად მიიღო ინფორმაცია.

ჩოხატაურში რესპონდენტების 83% აცხადებს, რომ ზუსტად არ ახსოვს როდის მოისმინა ანგარიში საკრებულომ, თუმცა ვარაუდობენ რომ ეს 2009 წლის დეკემბერში მოხდა, ხოლო 17% მოხსენების მოსმენის დროდ აგვისტო-სექტემბერს ასახელებს. ყველა რესპონდენტი აცხადებს რომ ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარადგინა. რესპონდენტთა უმრავლესობის თქმით, გაიმართა დისკუსია და საკრებულომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა პროგრამის შესრულება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში რესპონდენტების 83% აცხადებს რომ საკრებულოს გამგეობამ წარუდგინა ანგარიში, თუმცა მისი განხილვის თარიღად სახელდება 2009 წლის სექტემბერი, 2009 წლის ბოლო, 2010 წლის მარტი, ხოლო ნაწილს არ ახსოვს თარიღი. რესპონდენტების 17% (ერთი დეპუტატი) აცხადებს რომ ანგარიში გამგეობას საერთოდ არ წარმოუდგენია და ანგარიში საკრებულოს იმ კომისიამ წარადგინა, რომელიც პროგრამის მიმდინარეობას სწავლობდა და თავად ხელმძღვანელობდა. დეპუტატების აბსოლტური უმრავლესობა ამბობს, რომ ანგარიში გამგებელმა და გამგეობის სამსახურებმა წარადგინეს.

ხელვაჩაურში ყველა რესპონდენტი ადასტურებს, საკრებულოს მიერ ანგარიშის მოსმენის ფაქტს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სხვადასხვა თარიღი სახელდება – 50% ანგარიშის განხილვის თარიღად წლის ბოლოს ან 2010 წლის დასაწყისს ასახელებს, ხოლო დარჩენილ 50%-ს განხილვის თარიღი არ ახსოვს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ ანგარიშს არ ახლდა დისკუსია.

4. კვლევის განზოგადებული შედეგები – 2010 წლის სახელმწიფო პროგრამა

4.1 პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის დონე

4.1.1 რწმუნებულების და დეპუტატების ინფორმირებულობა

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ეფექტურად იმპლემენტაციისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის შესახებ თავად ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების ინფორმირებულობა. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთ ინტერესს რწმუნებულებისა და დეპუტატების ინფორმირებულობის ხარისხის შესწავლა წარმოადგენდა.

ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან პროგრამის მიზნების, პრიორიტეტების შერჩევისა და მიზნობრივი სოფლებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ. თუმცა, მხოლოდ მათ ნაწილს აქვს „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ დოკუმენტალური მასალები (მთავრობის დადგენილება და განკარგულება).

სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულთა 92% აცხადებს, რომ 2010 წლის პროგრამის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტების გამგეობაში გამართულ თათბირზე მიიღეს. მხოლოდ 8% ამბობს, რომ ასეთი ინფორმაცია დამატებით მიიღეს სხვადასხვა საკითხებზე გამართული ტრენინგების დროს.

სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატების 72% აცხადებს, რომ საკრებულოს ან/და საკრებულოს კომისიის სხდომებიდან მიიღეს ინფორმაცია პროგრამის შესახებ. დეპუტატების დანარჩენმა ნაწილმა ინფორმაცია გამგეობებში, ტრენინგებზე, მედიის საშუალებით ან საკუთარი შესაძლებლობებით გაეცნო პროგრამას. ისევე როგორც რწმუნებულების, დეპუტატების ინფორმირების ხარისხიც სხვადასხვაა – ნაწილი ამბობს, რომ დეტალურად, დოკუმენტალურად არ იცნობს პროგრამას, გარკვეული მათგანი უშუალოდ გაეცნო მთავრობის დადგენილებას.

4.1.2 პროგრამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა

ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებისა და დეპუტატების ინფორმირებულობასთან ერთად, კვლევის ინტერესს წარმოადგენდა დაგვედგინა 2010 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეც. ამ მიზნით გამოვკითხეთ რწმუნებულები, მაჟორიტარი დეპუტატები და ადგილობრივი მოსახლეობა (ფოკუს-ჯგუფების გზით).

რწმუნებულების და მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა აცხადებს, რომ მოსახლეობა ინფორმირებულია პროგრამის შესახებ, თუმცა მათ პასუხებში განსაზღვრულ გრადაციას ვხვდებით. კერძოდ, მათი ნაწილი ამბობს, რომ მოსახლეობის უმეტესობა ინფორმირებულია, ნაწილი კი აცხადებს, რომ მხოლოდ მოსახლეობის ნაწილია ინფორმირებული. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს რომ სოფლის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია პროგრამის შესახებ, თუმცა

მნიშვნელოვნად სახეზეა პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ცოდნა. ამასთან ერთად გვხვდება სოფლებში მოსახლეობის არაინფორმირებულობის ფაქტებიც.

რწმუნებულთა ნაწილი თვლის, რომ ინფორმირებულობის ხარისხი უნდა გაიზარდოს, ამ კუთხით ისინი კონკრეტულ ნაბიჯებზეც საუბრობენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულის აზრით, მის გამგებლობაში შემაჯავალი თემის მოსახლეობის ნაწილია მხოლოდ ინფორმირებული, მიზეზად ასახელებს იმას, რომ შეკრებებზე ერთი და იგივე ხალხი დადის. მისი აზრით, ჯერ საჭიროებების ანკეტური გამოკვლევა უნდა ჩატარდეს, შემდეგ შეკრებების ორგანიზება აუცილებელია, რათა გაიზარდოს ინფორმირებული მოსახლეობის რაოდენობა. მართალია მის გამგებლობაში შემაჯავალი თემის მოსახლეობის ინფორმირებაში ეჭვი არ ეპარება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულს, თუმცა ისიც ყურადღებას ამახვილებს, რომ პროგრამა პრაქტიკულად ახლა ინერგება და აუცილებელია მეტი აქტივობების განხორციელება. მისი აზრით, ინფორმირებულობის დონის გაზრდაში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობაც მნიშვნელოვანი იქნება. მსგავსი მოსაზრება აქვს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულსაც – „*პროგრამას მეტი პოპულარიზაცია სჭირდება ტელევიზიის, ბუკლეტებისა და სხვადასხვა ფორმის საშუალებით*“. იგი ყველა თავის პრაქტიკულ გამოცდილებას, რომ გარდა შეხვედრებისა, რწმუნებულის სპეციალისტები ცდილობდნენ გაეცვრცელებინათ დამატებით ინფორმაცია და თვლის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თემში ინფორმირებულია.

რესპონდენტი მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მოსახლეობა ინფორმირებულია, მხოლოდ მცირე ნაწილი ამბობს, რომ ინფორმირების ხარისხი საშუალოა. შესაბამისად, რწმუნებულებისა და დეპუტატების ნაწილის ინფორმაცია ერთმანეთისგან განსხვავდება.

რწმუნებულებისგან განსხვავებით დეპუტატთა მცირე ნაწილი მოსახლეობის ინფორმირების საშუალო დონეზე საუბრობს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის მაჟორიტარი დეპუტატი ფიქრობს, რომ – თემის მოსახლეობის 30%-ია ინფორმირებული „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის თაობაზე, მაგრამ უმრავლესობამ იცის რა უნდა გაკეთდეს ზოგადად 2010 წელს სოფელში, ანუ მოსახლეობას იდენტიფიცირება უჭირს რომელი პროგრამით კეთდება იგი. მიზეზად იმას ასახელებს, რომ შეხვედრებზე აქცენტი კეთდება თანხის ათვისებაზე და პროგრამის შესახებ ინფორმირება უკანა პლანზე იწევს. პროგრამის იდენტიფიცირების საკითხზე საუბრობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის დეპუტატიც – მოსახლეობის ნაწილს ჰგონია რომ ახალი გამგებელი მოვიდა და რაღაცას აკეთებს სოფლისათვის.

ფოკუს-ჯგუფების შედეგების თანახმად, სოფლის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია პროგრამის შესახებ, თუმცა ისინი მეტწილად ფლობენ ზოგად ინფორმაციას პროგრამის შესახებ. ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების საერთო რაოდენობიდან 50%-ის შემთხვევაში აღნიშნეს, რომ ინფორმირებულები არიან პროგრამის შესახებ, 29% ნაკლებად ინფორმირებულობაზე მიუთითებს, ხოლო დარჩენილი 21%-ის შემთხვევაში აცხადებენ, რომ ინფორმაციას არ ფლობენ. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში კვლევა აპრილისა და მაისის დასაწყისში ჩატარდა და დაფიქსირდა ინფორმირებულობის უფრო მაღალი ხარისხი, ხოლო ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში ფოკუს-ჯგუფები მარტსა და აპრილის დასაწყისში ჩატარდა და იქ ინფორმირებულობის უფრო დაბალი ხარისხი დაფიქსირდა.

არაინფორმირებულობის მიზეზი, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, სხვადასხვაა – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ცოტა ადამიანია ინფორმირებული და ამის მიზეზად სოფლის მაღალმთიანობა მიაჩნიათ. ამავე მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი სოფლის მოსახლეობა არაინფორმირების მიზეზად ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის არაეფექტურ კომუნიკაციას მიიჩნევს. ასევე, მათი აზრით, მიზეზი შეიძლება მოსახლეობის მსგავსი პროგრამების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება იყოს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი სოფლის მოსახლეობა თვლის, რომ პროგრამის შესახებ არამხოლოდ ზოგადი, დეტალური ინფორმაციაა საჭირო, რადგან მოსახლეობა უფრო მობილიზებული იქნება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილე დასძენს, რომ დაესწრო 2010 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტის განხილვას და ინფორმაცია სოფელში აიტანა, სადაც ძალიან გაუკვირდათ რომ პროგრამის ფარგლებში შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ პრიორიტეტების შერჩევაში.

ზოგ შემთხვევაში განსხვავებულია თემის რწმუნებულებისა და დეპუტატების პასუხები, ასევეა თემის რწმუნებულებისა და მოსახლეობის პასუხები. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის რწმუნებული ამბობს რომ თემის მაცხოვრებელთა უმრავლესობა ინფორმირებულია, დეპუტატს არ აქვს ინფორმაცია, ხოლო თემში შეძავალი ერთ–ერთი სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ამბობენ –*«მაქსიმუმ 5%-ს ჰქონდეს ინფორმაცია»*. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში დაახლოებით 150 ადამიანი ცხოვრობს.

რაც შეეხება დიდი, საშუალო და პატარა სოფლების სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ ტენდენციას, ასეთი ამ შემთხვევაში არ გამოკვეთილა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოიკვეთა მუნიციპალური განსხვავება.

4.2 ადგილობრივი პრიორიტეტების შერჩევაში მოსახლეობის ჩართულობა

4.2.1 კონსულტაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ინსტრუმენტები

კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ერთი მხრივ, დაგვედგინა თუ რა საშუალებებით მოხდა მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის მიზნით კონსულტაციების გამართვის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, გაგვერკვია რესპონდენტების აზრი ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ინფორმირების რომელ საშუალებებს თვლიან რესპოდენტები ყველაზე ეფექტურად.

როგორც კვლევამ ცხადყო, სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულების უმრავლესობა კონსულტაციებში მოსახლეობის მონაწილეობის მიზნით ინფორმირების, თითქმის ერთი და იმავე საშუალებებს იყენებს. მოსახლეობის ინფორმირების ყველაზე გავრცელებული საშუალებებია – ინფორმაციის გავრცელება რწმუნებულების აპარატის თანამშრომლების საშუალებით ზეპირსიტყვიერად და სოფლებში საკონტაქტო პირების (სოფლის აქტივისტების) მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება. ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა ე.წ. სოფლის კრებების მოწვევა, სადაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია კონსულტაციების გამართვის შესახებ. იშვიათად, მაგრამ ადგილი აქვს კონსულტაციების გამართვის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა ადგილზე გამოკვრის (ავტობუსის გაჩერებებზე, რწმუნებულის ოფისში, სკოლებში) საშუალებების

გამოყენებასაც. ქობულეთის ციხისძირის თემში მოხდა ისეთი გამონაკლისი საშუალების გამოყენება, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება ავტობუსის მძღოლის მეშვეობით.

სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატების აბსოლტური უმრავლესობა კონსულტაციების გამართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების იდენტურ საშუალებებს ასახელებს – მათი თქმით, ინფორმაცია ვრცელდება რწმუნებულის, მისი აპარატის და სოფლებში საკონტაქტო პირების (სოფლის აქტივისტების) მეშვეობით. ამავე დროს, დეპუტატები აცხადებენ, რომ თავად ისინიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ინფორმაციის გავრცელებაში.

ფოკუს-ჯგუფის ის მონაწილეები, ვისაც უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული საჭიროებების გამოკვეთის მიზნით ჩატარებულ კონსულტაციებში, ან ვერ მოახერხა მონაწილეობა, თუმცა აქვს ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, ინფორმაციის ძირითად წყაროდ რწმუნებულს, მის აპარატს და მაჟორიტარ დეპუტატს ასახელებენ. იშვიათ შემთხვევებში, აგრეთვე ასახელებენ მეზობლებს, სატელეფონო კავშირს, სხვადასხვა ადგილას გამოკრულ ინფორმაციას და მედია საშუალებებს.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ კონსულტაციების გამართვის შესახებ ხდება არასრული ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაციის მიწოდების მექანიზმის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ამბობს, ისინი კი გააფრთხილეს შეკრების შესახებ, მაგრამ არ იცოდნენ რა მიზნით უნდა გამართულიყო იგი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ამბობს, რომ მას რწმუნებული დაუკავშირდა და უთხრა პედაგოგები გაეფრთხილებინა, კი გააფრთხილა, მაგრამ შეხვედრა ისეთ დროს ჩატარდა რომ ვერ მოახერხეს მისვლა. ამავე სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ცოტა გაუმართავია ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი ამბობს, რომ მოსახლეობამ წინასწარ ამ შეხვედრის შესახებ არ იცოდა, ნაწილმა ინფორმაცია მხოლოდ წინა დღეს მიიღო.

როგორც კვლევამ ცხადყო, კონსულტაციების გამართვის შესახებ წინასწარ ინფორმაციის მიწოდების ვადები სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში განსხვავებულია და ერთი დღიდან ერთ კვირამდე მერყეობს.

როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაცემები ცხადყოფს, 2010 წლის პროგრამის ფარგლებში კონსულტაციების გამართვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით. ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობას თავად თუ არ მიუღია კონსულტაციებში მონაწილეობა, მინიმუმ კონსულტაციების გამართვის შესახებ მაინც აქვს ინფორმაცია. ხოლო ოზურგეთში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობას 2010 წლის პროგრამის ფარგლებში გამართული კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია არ აქვს, რადგან ნაწილი არც სხდომას დასწრებია და ნაწილს არც სმენია. რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტს, თითქმის თანაბარია იმ სოფლების რაოდენობა, სადაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს აქვთ ინფორმაცია და სადაც ინფორმაცია არ გააჩნიათ.

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებებს, გამოკითხული რესპოდენტების აზრით, ესენი შეიძლება იყოს: სოფლის კრება/შეკრება, ბუკლეტი, ანკეტა, გაზეთი, სათემო რადიო, პედაგოგების საშუალებით ინფორმაციის გავრცელება, საინფორმაციო დაფა, კარდაკარ ჩამოვლა და ინდივიდუალური გაფრთხილება,

ინფორმირების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის გამოყენება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის დეპუტატი აღნიშნავს, რომ აუცილებელია პროგრამის ამსახველი ბუკლეტის გავრცელება, ამ აზრს იზიარებენ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილიც – „*ბუკლეტის საშუალებით ის მოსახლეობაც მიიღებს ინფორმაციას, ვინც ვერ მოახერხა კონსულტაციებში მონაწილეობა*“. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულის აზრით მხოლოდ ნაბეჭდი მასალით ხალხის ინფორმირება ძნელია და ამიტომ მიიჩნევა, რომ კარდაკარ გაფრთხილება ყველაზე საუკეთესო მეთოდია. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის საქმეში არასამთავრობოების რესურსის და გამოცდილების გამოყენება სასურველი იქნებოდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა რესპოდენტი მიიჩნევა, რომ დასახელებული თითოეული მეთოდი ერთმანეთის შემავსებელია.

4.2.2 კონსულტაციების ფორმა და ინსტრუმენტები

„სოფლის მხარდაჭერის“ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის შესახებ მთავრობის დადგენილების თანახმად, თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან მხოლოდ წინასწარი კონსულტაციის შემდეგ. წინასწარი კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას, ორგანიზებას უწევს სოფლის კრების მოწვევასა და გამართვას, აწყობს საჯარო განხილვებს. კვლევის ფარგლებში ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულების, მაჟორიტარი დეპუტატებისა და მოსახლეობის გამოკითხვის გზით, შევისწავლეთ გაიმართა თუ არა კონსულტაციები მოსახლეობასთან და რა ფორმით.

ადგილობრივი პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით, სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში კონსულტაციების ინსტრუმენტად, როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, ძირითადად გამოყენებულ იქნა საჯარო და ინდივიდუალური შეხვედრები. გარდა ამისა, რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მიმართეს ანკეტურ გამოკითხვას, ასევე ჯერ უბნების წარმომადგენლებთან კონსულტაციებს და შემდგომ გაფართოებულ შეხვედრას. როგორც რწმუნებულები და დეპუტატები აცხადებენ, მინიმუმ ერთი საჯარო შეხვედრა მაინც გაიმართა თითოეულ სოფელში ან/და თემში მაინც. ამასთან ერთად, თვითმმართველობის მოხელეების ნაწილი აცხადებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სოფელში საშუალოდ გაიმართა 2–3 საჯარო შეხვედრა.

კვლევის მონაცემების თანახმად, საჯარო შეხვედრები უმეტესად ადმინისტრაციულ შენობებში, სკოლებში, კულტურის სახლებში და ღია ცის ქვეშ გაიმართა. ინდივიდუალურ ან სპონტანურ შეხვედრებს, როგორც თვითმმართველობის მოხელეები ამბობენ, ე.წ. „კარდაკარის“ პრინციპი ან უბნებში შეხვედრების ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება ანკეტურ გამოკითხვას, მონაცემების მიხედვით, იგი „კარდაკარის“ პრინციპით ჩატარდა. როგორც თვითმმართველობის წარმომადგენელი რესპოდენტები აცხადებენ, ისინი შეხვედრების დროს ინიშნავდნენ მოსახლეობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და პოზიციებს, ხოლო სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების გარკვეულ ნაწილში ხდებოდა ოქმების შედგენაც.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებიდან საერთო ჯამში დაახლოებით 30%-მა მიიღო მონაწილეობა 2010 წლის პროგრამის ფარგლებში გამართულ კონსულტაციებში, ან კიდევ სმენია სოფელში ასეთი კონსულტაციების გამართვის შესახებ. კონსულტაციების გამართვის შესახებ ფოკუს-ჯგუფებიდან მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებული სურათი მივიღეთ. ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში გამართული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ან უშუალოდ დაესწრნენ კონსულტაციების პროცესს, ან სმენიან მათ სოფლებში ასეთი კონსულტაციების გამართვის შესახებ. განსხვავებული სურათი იკვეთება ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, სადაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ კონსულტაციები ან არ გამართულა, ან საერთოდ არ სმენიან ასეთის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ფოკუს-ჯგუფები გაიმართა აპრილში და მაისის დასაწყისში, ხოლო ქობულეთსა და ოზურგეთში მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში.

როგორც ფოკუს-ჯგუფებმა ცხადყო, კონსულტაციების გამართვის შესახებ მრავალმოსახლიან, საშუალომოსახლიან და მცირემოსახლიან სოფლებში თითქმის მსგავსი მდგომარეობაა. აღნიშნული მათ შორის ეხება იმ მუნიციპალიტეტებს, სადაც კონსულტაციების გამართვის შესახებ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს არც კი სმენიან კონსულტაციების გამართვის შესახებ. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 130-მდე მოსახლეა და იქ გამართული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აცხადებენ, რომ კონსულტაციები არ გამართულა ან ყოველ შემთხვევაში არც კი სმენიან ასეთის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია თითოეულ სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული კვლევის დეტალური მონაცემები, რომელიც ემყარება რწმუნებულების, მაჟორიტარი დეპუტატებისა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა მონაწილეთა სამი კატეგორია, პირები რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ კონსულტაციების პროცესს, პირები რომლებიც არ ესწრებოდნენ, თუმცა სმენიან კონსულტაციების გამართვის შესახებ და ისინი, ვისაც საერთოდ არ სმენიან კონსულტაციების გამართვის შესახებ. შეუძლებელი გახდა ფოკუს-ჯგუფებში თითოეული ამ კატეგორიის პირთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, აქედან გამომდინარე მოხდა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ორ კატეგორიაში გაერთიანება, პირები რომლებიც აცხადებენ რომ კონსულტაციები გაიმართა (უშუალოდ მონაწილეობდა, ან სმენია კონსულტაციების შესახებ) და პირები რომლებიც ამბობენ რომ კონსულტაციები მათ სოფელში არ გამართულა (კატეგორიულად აცხადებს რომ არ გამართულა, ან კიდევ არ სმენია ასეთის შესახებ). გარდა ამისა, გამოიკვეთა ორი შემთხვევა (შემოქმედის თემი, ხალას თემი), როდესაც დეპუტატები არ ფლობენ კონსულტაციების გამართვის შესახებ ინფორმაციას, თუმცა უშვებენ იმის ალბათობას რომ ისინი შედგა.

შენიშვნა: **დიდმოსახლიანი სოფელი** **საშუალომოსახლიანი სოფელი** **მცირემოსახლიანი სოფელი**

ცხრილი # 4 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციების გამართვა)

ადმინისტრაციული ერთეული		რესპონდენტი	კონსულტაციების გამართვა	
			გაიმართა	არ გამართულა
1	ბახვის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ზედა ბახვი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	

		ქვედა ბაზვი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
2	დეგბზუს თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		დეგბზუ (ფოკუს-ჯგუფი)		✓
3	ბოხვაურის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ჭალა (ფოკუს-ჯგუფი)		✓
4	თხინვალის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		თხინვალი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
5	ლიხაურის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ვამთიალი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		კვაჭალათი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
6	მაკვანეთის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		გოგიეთი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
7	ოზურგეთის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ოზურგეთი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
8	შემოქმედის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი		✓
		გონებისკარი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
		კვირიკეთი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
9	ჭანიეთის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ქაქუთი (ფოკუს-ჯგუფი)		✓

ცხრილი # 5 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციების გამართვა)

ადმინისტრაციული ერთეული	რესპონდენტი	კონსულტაციების გამართვა		
		გამართა	არ გამართულა	
1	გუთურის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		გუთური (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
2	ფარცხმას თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ზემო ფარცხმა (ფოკუს-ჯგუფი)		✓
		შუა ფარცხმა (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
3	გოგოლესუბანის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	-----	-----
		გოგოლესუბანი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
4	ხიდისთავის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ხიდისთავი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		ახალშენი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		ზენობანი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	

5	ქვენობანის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ბუკნარი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
6	ხევის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ბუქსიეთი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
7	ნაბეღლაგის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ნაბეღლაგი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	

ცხრილი # 6 ქობულეთის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციების გამართვა)

ადმინისტრაციული ერთეული		რესპონდენტი	კონსულტაციების გამართვა	
			გამართა	არ გამართულა
1	ჩაქვის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ჩაქვი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
2	მუხაესტატეს თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		მუხაესტატი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
3	ალამზარის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ალამზარი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		კონდიდი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
4	ციხისძირის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		შუადელე (ფოკუს-ჯგუფი)		✓
5	ხალას თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი		✓
		ჩაქვისთავი (ფოკუს-ჯგუფი)		✓
6	ჭახათის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		ჭახათი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		კეჭიეთი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		ობტომი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	

ცხრილი # 7 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციების გამართვა)

ადმინისტრაციული ერთეული		რესპონდენტი	კონსულტაციების გამართვა	
			გამართა	არ გამართულა
1	მახინჯაურის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		დაბა მახინჯაური (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
2	კახაბრის თემი	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		თოდოგაური (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
3	მაჭახლის	რწმუნებული	✓	

	თემა	დეპუტატი	✓	
		ზედა ჩხუტუნეთი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		აჭარისადმართი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
4	აჭარისწყლის თემა	რწმუნებული	✓	
		დეპუტატი	✓	
		აჭარისწყალი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		კიბე (ფოკუს-ჯგუფი)	✓	
		მაჭახლისპირი (ფოკუს-ჯგუფი)	✓	

4.2.3 კონსულტაციებში მონაწილე მოსახლეობის კატეგორია

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით, თუ რა პრინციპით ხდებოდა „სოფლის მხარდაჭერის“ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამართულ კონსულტაციებში მონაწილე მოსახლეობის შერჩევა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებს, მაჟორიტარ დეპუტატებსა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს დავუსვით შესაბამისი კითხვა.

რწმუნებულებისა და დეპუტატების უმრავლესობა აცხადებს, რომ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამართულ კონსულტაციებში და პრიორიტეტების გამოკვეთაში, ნებისმიერ მოსახლეს შეეძლო მიეღო მონაწილეობა და მათი შერჩევის რაიმე განსაკუთრებული პრინციპი არ არსებობდა. თუმცა რესპონდენტების ნაწილის თქმით კონსულტაციებისთვის შეირჩა სოფლის აქტივისტები, ისინი რომელთა აზრსაც მოსახლეობა „პატივს სცემს“. ფოკუს-ჯგუფების იმ მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ესწრებოდა კონსულტაციებს, ან სმენია მათ შესახებ ადასტურებს თვითმმართველობის მოხელეების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

რესპონდენტების ინფორმაციით, კონსულტაციებში ძირითადად 30–50 წლამდე ასაკის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, თუმცა მონაწილეთა შორის ყველაზე უმცროსი ასაკი – 16 წელი სახელდება, ხოლო ყველაზე უფროსის 86.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტ თვითმმართველობის მოხელეებს ვკითხეთ – მათ სამოქმედო ადმინისტრაციულ ერთეულებში რამდენმა მოსახლემ მიიღო მონაწილეობა კონსულტაციებში. გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში რწმუნებულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ემთხვევა ერთმანეთს, მთელ რიგ შემთხვევებში კი, ინფორმაცია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარდა ამისა, რესპონდენტების მიერ დასახელებული კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა გაცილებით დაბალია სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში მაცხოვრებელთა რიცხვზე.

შენიშვნა: ცხრილებში მითითებულ მაცხოვრებელთა ოფიციალურ მონაცემებში იგულისხმება, თავად მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში მაცხოვრებელთა რაოდენობის შესახებ. ხოლო რწმუნებულისა და მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაციაში იგულისხმება, მათ მიერ ინტერვიუების დროს მოცემული ინფორმაცია კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებულ კონსულტაციებში მონაწილე მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებ.

ცხრილი #8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა და მათი წილი თემის მთელ მოსახლეობაში)

თემის დასახელება	ინფორმაციის წყარო	რაოდენობა	%
ბახვის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	2840	
	რწმუნებულის ინფორმაცია	220	7.7
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	150	5.3
დვაბზუს თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	2532	
	რწმუნებულის ინფორმაცია	140	5.5
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	850	33.6
ბოხვაურის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1989	
	რწმუნებულის ინფორმაცია	230	11.6
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	150	7.5
თხინვალის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	971	
	რწმუნებულის ინფორმაცია	1000	103.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	-	-
ლიხაურის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	2700	
	რწმუნებულის ინფორმაცია	200	7.4
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	250	9.2
მაკვანეთის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1974	
	რწმუნებულის ინფორმაცია	200	10.1
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	150	7.6
ოზურგეთის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1998	
	რწმუნებულის ინფორმაცია	200	10.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	150	7.5
შემოქმედის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	3313	
	რწმუნებულის ინფორმაცია	600	18.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	-	-
ჭანიეთის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1002	
	რწმუნებულის ინფორმაცია	160	16.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	150	15.0

ცხრილი #9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა და მათი წილი თემის მთელ მოსახლეობაში)

თემის დასახელება	ინფორმაციის წყარო	რაოდენობა	%
გუთურის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1210	
	რწმუნებულის ინფორმაცია	300	24.8
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	400	33.1
ფარცხმას თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1724	
	რწმუნებულის ინფორმაცია	400	23.2
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	100	5.8
გოგოლესუბნის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1103	
	რწმუნებულის ინფორმაცია	300	27.2
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	-	-
ხიდისთავის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1661	
	რწმუნებულის ინფორმაცია	990	60.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	200	36.0
ქვენობანის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1974	
	რწმუნებულის ინფორმაცია	150	7.6
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	380	19.3
ხევის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	570	
	რწმუნებულის ინფორმაცია	130	22.8
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	200	35.1

ნაბელავის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1261	
	რწმუნებულის ინფორმაცია	280	22.2
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	250	19.8

ცხირილი #10. ქობულეთის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა და მათი წილი თემის მთელ მოსახლეობაში)

თემის დასახელება	ინფორმაციის წყარო	რაოდენობა	%
ჩაქვის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	11300	
	რწმუნებულის ინფორმაცია	430	3.8
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	190	1.7
მუხაესტატეს თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	3181	
	რწმუნებულის ინფორმაცია	70	2.2
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	–	–
ალამბარის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	3043	
	რწმუნებულის ინფორმაცია	160	5.2
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	130	4.3
ციხისძირის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	5280	
	რწმუნებულის ინფორმაცია	230	4.4
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	300	5.7
ხალას თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	3600	
	რწმუნებულის ინფორმაცია	140	3.9
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	–	–
ჭახათის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1300	
	რწმუნებულის ინფორმაცია	300	23.0
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	300	23.1

ცხირილი #11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა და მათი წილი თემის მთელ მოსახლეობაში)

თემის დასახელება	ინფორმაციის წყარო	რაოდენობა	%
მახინჯაურის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	9178	
	რწმუნებულის ინფორმაცია	525	5.7
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	1835	20.0
კახაბრის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	6300	
	რწმუნებულის ინფორმაცია	300	4.8
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	540	8.6
მაჭახლის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	3123	
	რწმუნებულის ინფორმაცია	1390	44.5
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	–	–
აჭარისწყლის თემი	მაცხოვრებელთა ოფიციალური რაოდენობა	1628	
	რწმუნებულის ინფორმაცია	485	29.8
	მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაცია	–	–

4.2.4 კონსულტაციებში მონაწილე მოხელეები და მათი როლი

როგორც თვითმმართველობის მოხელეების გამოკითხვამ და ფოკუს-ჯგუფებმა ცხადყო, კონსულტაციებს ძირითადად ესწრებოდნენ ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები, მათი აპარატის თანამშრომლები და ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც კონსულტაციებს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობისა და შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები, რიგ შემთხვევებში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატისა და

მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, აჭარის ავრ-ის შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა თემში იდენტური სურათია – კონსულტაციების ორგანიზებაში, კონსულტაციების პროცესის წარმართვასა და შედეგების გაფორმებაში (ჩაწერა, ოქმის შედგენა) მონაწილეობას იღებდა ყველა მოხელე. იკვეთება, რომ მოხელეებს მკაფიოდ არ ჰქონდათ ფუნქციები გადანაწილებული. კონსულტაციების ორგანიზება მცირე დროში ხდებოდა და ფუნქციების გამიჯვნისა და დაგეგმვისთვის საკმარისი დრო არ ჰქონდათ. ვხვდებით შემთხვევებს, როცა კონსულტაციების პროცესს ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები ხელმძღვანელობდნენ, ამავე დროს არის კონსულტაციების პროცესის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატების მიერ ხელმძღვანელობის მაგალითებიც. ძალზედ იშვიათ შემთხვევებში კონსულტაციების პროცესს ხელმძღვანელობდა მუნიციპალიტეტის გამგებელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თემებში გამართული აქტიური მონაწილენი არიან ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები და მისი აპარატის წარმომადგენლები, აგრეთვე, ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები. თუმცა გვხვდება იშვიათი გამონაკლისები, როცა დეპუტატები სხვადასხვა პირადი მიზეზების გამო არ ესწრებოდნენ კონსულტაციების პროცესს. კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის მაჟორიტარი დეპუტატი პირადი პრობლემების გამო არ დასწრებია კონსულტაციებს. ასეთივე შემთხვევა გვაქვს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში. ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებს ოზურგეთის ერთ-ერთი თემის რწმუნებული და დეპუტატი. თემის რწმუნებული ამბობს, რომ *«თემის დეპუტატი რამდენიმე უბანში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა, ის მოსახლეობიდან წამოსული პრიორიტეტების ფორმირებასა და განსაზღვრაში მონაწილეობდა»*, აღნიშნული თემის დეპუტატი ამბობს, რომ 2010 წელს გამართული კონსულტაციების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს *«შეიძლება რწმუნებულმა აწარმოა კიდევ ამგვარი შეხვედრა, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს»*.

როგორც კვლევამ ცხადყო, უმეტეს ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდა მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები – რიგ შემთხვევებში გამგებელი, გამგებლის მოადგილე და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. გარდა ამის, რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში კონსულტაციებს ესწრებოდნენ – პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში და აჭარის ავრ-ის შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა

კვლევის ინტერესს შეადგენდა, ერთი მხრივ, დაგვედგინა ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა და პრიორიტეტების განსაზღვრა მოხდა თუ არა უშუალოდ სოფლის მოსახლეობის მიერ, ხოლო მეორე მხრივ, როგორ წარიმართა პრიორიტეტიზაციის პროცესი. შესაბამისი კითხვებით მივმართეთ ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებს, მაჟორიტარ დეპუტატებსა და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს.

კვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების უმრავლესობაში 2010 წლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებები/პრიორიტეტები თავად მოსახლეობის მიერ იქნა დასახელებული კონსულტაციების დროს. აღნიშნულზე მიუთითებს ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა, რაც თავის მხრივ დასტურდება ფოკუს-ჯგუფის იმ მონაწილეების უმრავლესობის მიერაც, ვინც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას კონსულტაციებში.

კვლევამ გამოკვეთა 2010 წლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა-პრიორიტეტიზაციის პროცესის რამდენიმე მოდელი:

1. გამოყოფილი თანხის მოცულობიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე განისაზღვრა სავარაუდო საჭიროებები, შემდეგ მოხდა მათი განხილვა მოსახლეობასთან და პრიორიტეტიზაცია. სავარაუდო საჭიროებების განსაზღვრა რიგ შემთხვევებში ემყარებოდა გასული წლის მოთხოვნებს, ამასთან ერთად მიმდინარეობდა კონსულტაციები ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატებთან და გამგეობის შესაბამის სამსახურებთან;
2. საწყის ეტაპზე განისაზღვრა სავარაუდო საჭიროებები, შემდეგ მოხდა მათი განხილვა მოსახლეობასთან და ცვლილებების შეტანა სავარაუდო საჭიროებებში, ამის შემდეგ მოხდა პრიორიტეტიზაცია;
3. თავდაპირველად მოხდა მოსახლეობასთან ერთად საჭიროებების გამოვლენა, შემდეგ საპროექტო წინადადებები დამუშავდა მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში და შემდეგ ეტაპზე კვლავ გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრა, სადაც მოსახლეობამ მიიღო ინფორმაცია რომელ პროექტს რა ბიუჯეტი ექნებოდა და აღნიშნულ ინფორმაციებზე დაყრდნობით საბოლოოდ გამოიკვეთა პრიორიტეტები.

როგორც კვლევამ ცხადყო, ზოგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების შეცვლას, თუმცა ცვლილების მიზეზი თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვაა. მაგალითად: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის რწმუნებული აცხადებს – *„სოფლის მოსახლეობას თავდაპირველად სტადიონის გაკეთება უნდოდა, თუმცა მოსახლეობაში ინდივიდუალური კონსულტაციის შემდეგ (გასვლითი კონსულტაციები) პრიორიტეტი შეიცვალა და აქცენტი წყლის მიღების საჭიროებაზე გაკეთდა“*. ამავე სოფლის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აფიქსირებენ, რომ არჩევანი მათ სტადიონსა და მილებს შორის უნდა გაეკეთებინათ და ამ უკანასკნელზე შეჩერდნენ. ცვლილება მოხდა ამავე მუნიციპალიტეტის სხვა თემშიც, რწმუნებული ამბობს – *„სამ სოფელში მოხდა შერჩეული პრიორიტეტების შეცვლა, ეს გამოიწვია იმან რომ გამოყოფილი თანხა სრულად აღარ ჭირდებოდა დასახელებულ პრიორიტეტს და ამიტომ მოსახლეობის წინადადებით დაემატა მოსაცდელის აშენების პროექტებიც“*. ცოტა განსხვავებული სიტუაციას ჰქონდა ადგილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თემში – შეირჩა სტადიონის მშენებლობა, მაგრამ როგორც რწმუნებული ამბობს, გაირკვა რომ ტერიტორიაზე ავტობანი უნდა გასულიყო და ამან გამოიწვია პრიორიტეტის შეცვლა.

2010 წლის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტების გამოვლენის განსხვავებული მოდელების მოქმედების მიუხედავად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია. კერძოდ, სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების მნიშვნელოვან ნაწილში სოფლებისთვის გამოყოფილი თანხებისა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე პრიორიტეტების განსაზღვრა, პრაქტიკულად პარალელურად, ერთი და იმავე შეხვედრისას მიმდინარეობდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლევამ ცხადყო, რომ პრიორიტეტების შერჩევასა თემებში საკმაოდ იშვიათად მიმართავდნენ კენჭისყრის კლასიკურ მექანიზმს, თუმცა ვხვდებით „ხელის აწევით“ პრიორიტეტების გამოკვეთის შემთხვევებს.

4.4 თანხების განაწილების ფორმულის შეფასება

„სოფლის მხარდაჭერის“ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამა ადგენს თანხების განაწილების შკალებს სოფლებში მაცხოვრებელთა რაოდენობის შესაბამისად. კვლევის ფარგლებში, ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებს, მაჟორიტარ დეპუტატებსა და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს ვკითხეთ, მათი დამოკიდებულება თანხის განაწილების არსებული ფორმულის შესახებ.

რესპონდენტების ნაწილს არ უფიქრია აღნიშნულ საკითხზე და პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავეს. ხოლო იმ რესპონდენტების პასუხებიდან, რომლებმაც თავიანთი მოსაზრება დააფიქსირეს აღნიშნულ საკითხზე, გამოიკვეთა სამი ძირითადი პიზიცია. კერძოდ ერთი ნაწილი თანხის განაწილების არსებული ფორმულას მისაღებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი მიიჩნევს რომ არსებული სისტემა მიუღებელია, ხოლო მესამე ნაწილი ძირითადად არსებული ფორმულის მომხრეა, თუმცა მიიჩნევს რომ მცირემოსახლიანი სოფლებისათვის განსხვავებული რეგულირებაა საჭირო.

თანხის განაწილების არსებული ფორმულის მომხრენი ამბობენ, რომ არსებული სისტემა შეიძლება არ არის უნაკლო, თუმცა ის სოფლებში არსებული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარების საშუალებას იძლევა.

თანხის განაწილების არსებული ფორმულის მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თანხების განაწილება ნაკლებად ეფექტურია და მნიშვნელოვანი პრობლემების სრულად გადაჭრა ვერ ხერხდება. რესპონდენტების ეს კატეგორია მიიჩნევს რომ საკრებულოებმა უკეთ იციან ადგილობრივი საჭიროებები, შესაბამისად მიიჩნევენ, რომ სწორედ მან უნდა გაანაწილოს თანხა. არიან რესპონდენტები, რომლებსაც გამართლებულად მიაჩნიათ რომ პრობლემები და საჭიროებები უკეთ რწმუნებულებმა იციან და მათ უნდა მიეცეთ გადაწყვეტილებისა და თანხის განკარგვის უფლება.

ე.წ კომბინირებული მოსაზრების მატარებლები ამბობენ, რომ ფორმულა კარგია, მაგრამ მრავალმოსახლიანი სოფლებისგან განსხვავებით მცირემოსახლიან სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარება ვერ ხერხდება. მათი აზრით, მრავალმოსახლიან და მცირემოსახლიან სოფლებს ფაქტიურად ერთი და იგივე პრობლემები აწუხებს, ხოლო თანხის განაწილების არსებული ფორმულა მცირემოსახლიან სოფლებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

4.5 რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემები

კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ყველა იმ ხარვეზის გამოვლენა, რომელიც შესაძლოა ახლდა 2009–2010 წლების „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას. ამ კუთხით რესპონდენტებად არჩეული იქნა საკვლევი ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები და მაჟორიტარი დეპუტატები. 2009–2010 წლების სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით დასახელებული პრობლემები

ადგილობრივი საჭიროებების გამოკვეთის, პროექტების განხორციელებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მიმართულებებზე შეიძლება დაიყოს.

გამოყოფილი თანხების სიმცირე (2009–2010 წლების პროგრამები). რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოყოფილი თანხების სიმცირეს ასახელებს. მათი აზრით, მოთხოვნა (მოსაგვარებელი პრობლემები) უფრო მეტი იყო, ვიდრე შესაძლებლობა და გამოყოფილმა თანხებმა სრულად ვერ მოაგვარა სოფლის საჭიროებები. რესპოდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თანხა იმდენი უნდა იყოს, რომ ძირითადი პრობლემები ხანგრძლივი ვადით მოგვარდეს, თანხის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ხალხის ინტერესის სრულად დაკმაყოფილება. ამასთან ერთად რესპოდენტთა ნაწილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერთი მხრივ იმას, რომ ჯერ მოხდეს ადგილობრივი საჭიროებების გამოკვეთა და მერე თანხების გამოყოფა, ხოლო მეორე მხრივ, თავად მუნიციპალიტეტმა მოახდინოს დამატებით თანხების გამოყოფა. მაგალითად: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის დეპუტატი ამბობს „*მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე შესაძლებლობა. სჯობს ჯერ პრობლემა გამოიკვეთოს და შემდეგ გამოიყოს თანხა*“. ამავე მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის დეპუტატს მიაჩნია, რომ „*საკრებულომ უნდა გამოიყოს თანხა და მიიღოს მონაწილეობა, რათა პრობლემები ბოლომდე გადაიჭრას*.“

კვლევისას ასევე გამოიკვეთა აზრი, რომ გამოყოფილი თანხების სიმცირის პირობებში უმჯობესია მოხდეს არა დასახელებული რამოდენიმე პრობლემის ერთდროულად მოგვარება, არამედ შეირჩეს მხოლოდ ის, რომელსაც სრულად ეყოფა თანხები. მაგალითისთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი თემის რწმუნებულის აზრით სჯობს ერთი პრიორიტეტი შეირჩეს, რომლის ბოლომდე მიყვანაც მოხდება, ვიდრე რამდენიმე და დაუსრულებელი.

მოსახლეობის ნიჰილისტური დამოკიდებულება (2009–2010 წლების პროგრამები). რესპოდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა ერთი მხრივ, პროგრამისადმი მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და პრიორიტეტების გამოკვეთაში მათი ჩართულობის დაბალ დონეს, ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ სოფელში კონკრეტული სამუშაოების საზოგადოებრივ საწყისებზე შესრულებაზე მოსახლეობის ნაწილი უარს აცხადებდა.

შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი (2009 წლის პროგრამა). რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმება „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესრულებაში მოსახლეობის ჩართულობას, თუმცა რესპოდენტთა მცირე ნაწილი იქვე დასძენს, რომ ხშირ შემთხვევაში მათი არაპროფესიონალიზმი გავლენას ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, ვინაიდან მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში არ არის კონკრეტული საქმის სპეციალისტი მათ მიერ შესრულებული სამუშაო ხშირ შემთხვევაში არის დაბალი ხარისხის.

მოსახლეობის დაბალი ჩართულობა პროექტების შესრულების მონიტორინგში (2009 წლის პროგრამა). რესპოდენტების ნაწილმა ერთ–ერთ პრობლემად შესრულებული პროექტებზე მოსახლეობის მხრიდან კონტროლის განხორციელების მექანიზმების არ არსებობა დაასახელა. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობა არა მარტო ადგილობრივი პრობლემების გამოვლენის პროცესში უნდა იყოს ჩართული, არამედ აუცილებელია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე მოსახლეობის მხრიდან გარკვეული კონტროლის განხორციელების მექანიზმების არსებობაც. მაგალითად; ერთ–ერთი თემის დეპუტატის აზრით, მოსახლეობიდან 3–5 კაციანი მონიტორინგის ჯგუფები

უნდა შეიქმნას, რომელიც პროექტის მიმდინარეობას თვალყურს მიადევნებს. მისი აზრით, ამ ნაბიჯით ერთი მხრივ, გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, გაიზრდება ნდობა მოსახლეობის მხრიდან.

დამტკიცებულ პროექტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა (2009 წლის პროგრამა). რესპოდენტთა უმეტესობის აზრით, 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებას არ ახლდა პრობლემები. თუმცა არსებობს ერთეული შემთხვევები, როდესაც მოხდა უკვე დამტკიცებული პროექტების შეცვლა. მაგალითად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის მაჟორიტარი დეპუტატის განცხადებით, *„ერთ-ერთ სოფელში მშენებელმა თვითნებურად შეცვალა პროექტი, რამაც ობიექტის ჩაბარების დროს პრობლემები წარმოშვა, იგი მართალია მოგვარდა, თუმცა შემსრულებელს ხარჯები გაეზარდა.“* ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სხვა თემის მაგალითიც, რომლის რწმუნებულსაც აცხადებს, რომ *„მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა შედეგით, რადგან მოსაცდელის ტიპის ფანჩატური არაკომფორტული აღმოჩნდა. რწმუნებულმა გადაკეთებისთვის გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი და ამის შემდეგ მოხდა მისი რეკონსტრუქცია, რამაც დამატებითი ხარჯები მოითხოვა“.*

მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი (2009–2010 წლების პროგრამები). მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის პროგრამის შესახებ მოხდა, რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახეზეა მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი. ინფორმირებულობის არსებულ ხარისხთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რესპოდენტების უმრავლესობა თანხმდება რომ ამ კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის დეპუტატი ამბობს – *„მთავარი პრობლემა მოსახლეობის ინფორმირების დაბალი ხარისხია. თუ კარგად აუხსნიან ისინი გაგებით მოეკიდებიან ყოველივეს, მოსახლეობა სათანადოდ ინფორმირებული უნდა იყოს... მოსახლეობის უმრავლესობა უნდა ღებულობდეს გადაწყვეტილებას – ეს არის დემოკრატიის მთავარი პრინციპი“.*

5. დასკვნები და რეკომენდაციები

5.1 დასკვნები

- 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები წარმართვა თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალი სამუშაოების დასაფინანსებლად.** 2009 წ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ასევე 2010 წ. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი. 2009 წ. მოქმედი „საბიუჯეტო სისტემის კანონით“, ასევე დღეს მოქმედი „საბიუჯეტო კოდექსით“, სახელმწიფო ბიუჯეტი განმარტებულია როგორც „საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში კანონი საქართველოს მთავრობას აძლევს სრულ დისკრეციას საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვროს ამ ფონდების გამოყენების მიმართულებები. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტით სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება“. პროგრამის ფარგლებში თანხები ძირითადად წარიმართა ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციაში. შესაბამისად, ისმის კითხვა – „სოფლის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების ისეთ გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს თვითმმართველობის როგორც ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობას.
- 2. დაფინანსებული ადმინისტრაციული ერთეულები.** საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N35 განკარგულებაში მითითებული იყო, რომ გამოყოფილი თანხა უნდა გახარჯულიყო თვითმმართველი ერთეულების შემადგენლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, ხოლო 2010 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამაში უკვე პირდაპირ არის მითითებული, რომ თანხები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად. ამგვარი მიდგომა გაურკვეველს ხდის თუ რატომ რჩება რეგულირების გარეშე თვითმმართველი ერთეულის სხვა ტიპის დასახლებები: დაბები და ქალაქები (აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა 2010 წლის პროგრამის ფარგლებში პროექტები დაბებშიც განხორციელდა). ეს პროგრამა მიმართული რომ იყოს სოფლის სპეციფიკური საკითხების გადასაწყვეტად, რასაც პროგრამის დასახელებაც მიუთითებს, მაშინ გასაგები იქნებოდა სხვა ტიპის დასახლებების გამოკლება. მაგრამ პროგრამით გათვალისწინებულია არა სოფლის განვითარების სპეციალური პროექტების განხორციელება (რაც უმთავრესად სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას უნდა გულისხმობდეს), არამედ დასახლების ისეთი სახის პირველი რიგის საჭიროებები, როგორცაა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-

რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვ. ასეთი საჭიროებები არა ნაკლებ აქტუალურია თვითმმართველი ერთეულის ქალაქებში.

3. საჭიროებების გამოვლენა–პრიორიტეტიზაციის პროცესის რეგულირება.

საქართველოს მთავრობის N35 განკარგულებისგან განსხვავებით, მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის N241 დადგენილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, განისაზღვრა პროგრამის მიზნები და პროგრამის მიზნობრიობის განსაზღვრის საკითხები. ამისდა მიუხედავად, ღიად არის დატოვებული ისეთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხები, როგორებიცაა: რა წესით და როგორ უნდა ჩატარდეს მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციები, რას გულისხმობს სოფლის კრება, სოფლის მოსახლეობის რა რაოდენობა უნდა დაესწროს, რომ სოფლის კრება უფლებამოსილად ჩაითვალოს, რა წესით და რა შემთხვევებში უნდა მოხდეს სოფლის კრების მოწვევა, რა წესით უნდა ჩატარდეს მოსახლეობის გამოკითხვა, როგორ უნდა მოხდეს მოსახლეობასთან დადგენილებით დაწესებული სავალდებულო კონსულტაციების ჩატარების დაფიქსირება და ა.შ.

4. გამოყოფილი თანხები და მისი განაწილების სისტემა.

პროგრამის რეალიზაციისათვის გამოყოფილი თანხები გასულ წელთან შედარებით 2010 წელს გაორმაგდა, მიუხედავად ამისა, რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებული თანხები მცირეა და არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. რესპონდენტების აზრი თანხების განაწილების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით გაიყო და ერთი ნაწილი მას მისაღებად მიიჩნევს, ხოლო მეორე ნაწილი მის არაეფექტურობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სისტემა მრავალმოსახლიან სოფლებში მეტ-ნაკლებად იძლევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საშუალებას, იგი ნაკლებად ეფექტურია მცირემოსახლიანი სოფლებისთვის (მოსახლეობა მცირეა, თუმცა სოფელი დიდ ტერიტორიას მოიცავს), მაშინ როცა თითქმის ყველგან არის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ თანხების განაწილების არსებული ფორმულის მიხედვით, პატარა სოფლებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი თანხა გამოიყენება, ვიდრე მრავალმოსახლიან სოფლებში, იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს პატარა სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ამას ემატება ისიც, რომ მუნიციპალიტეტები, როგორც წესი, არ იყენებენ მუნიციპალური ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სისტემას.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების ჩართულობა.

პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში (მოსახლეობის ინფორმირება, კონსულტაციების ორგანიზება, კონსულტაციების პროცესის წარმართვა და სხვა) ჩართულნი იყვნენ – ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები, მაჟორიტარი დეპუტატები, გამგეობის წარმომადგენლები და სხვა მოხელეები. როგორც კვლევამ ცხადყო, პროცესში ჩართული იყო მოხელეთა ფართო წრე, თუმცა უკეთესი შედეგების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინაციის სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესება და პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში მათ შორის ფუნქციების გამიჯვნა.

6. კონსულტაციებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე.

როგორც კვლევამ ცხადყო, კონსულტაციებში (მიუხედავად იმისა თუ რა ინსტრუმენტებითა და ფორმით ჩატარდა იგი) სოფლის მოსახლეობის მცირე რაოდენობა იღებდა მონაწილეობას. ამ კუთხით მრავალრიცხოვან, საშუალორიცხოვან და მცირერიცხოვან

სოფლებში თითქმის მსგავსი მდგომარეობაა. ამის გამომწვევ ძირითად მიზეზად ერთი მხრივ, შეიძლება დასახელდეს მოსახლეობის აქტიურობის დაბალი დონე, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ სამართლებრივად არ არის დარეგულირებული კონსულტაციების ჩატარების დეტალური პროცედურები.

7. სპეციფიკურ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე. როგორც კვლევამ ცხადყო, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ზოგადად პროგრამის შესახებ მაღალია, თუმცა მათ ინფორმირებულობის ხარისხი სპეციფიკურ საკითხებზე (განხორციელებული პროექტების ხარჯთაღრიცხვა, შესრულებული პროექტების ხარისხის შეფასება და სხვა) გაცილებით დაბალია. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობას უჭირს შეაფასოს განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და ეფექტიანობა. ამ კუთხით მრავალრიცხოვან, საშუალორიცხოვან და მცირერიცხოვან სოფლებში თითქმის მსგავსი მდგომარეობაა. ინფორმირებულობის დაბალი დონის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ არსებული სამართლებრივი ბაზა არ ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მოხელეთა პირდაპირ ვალდებულებას მოსახლეობის ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვან შემთხვევებში, არ არის განსაზღვრული საკითხები, რომელთა შესახებ უნდა მოხდეს მოსახლეობის აუცილებელი ინფორმირება და ინფორმირებულობის რომელი აუცილებელი და სავარაუდო ინსტრუმენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული.

8. სამუშაოების შესრულებაში სოფლის მოსახლეობის დასაქმება. როგორც კვლევამ ცხადყო, „სოფლის მხარდაჭერის“ 2009 წლის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ძირითადად, ან ნაწილობრივ ადგილობრივმა მოსახლეობამ შეასრულა (გარდა იმ სამუშაოებისა, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ უნარებსა და ცოდნას).² კვლევამ სოფლის მოსახლეობის დასაქმების მიმართულებით გამოკვეთა ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი უკავშირდება მოსახლეობის პროფესიონალიზმს – რესპონდენტთა მცირე ნაწილის აზრით მოსახლეობის არაპროფესიონალიზმი (ისინი ხშირ შემთხვევაში არ არიან კონკრეტული საქმის სპეციალისტები) რიგ შემთხვევებში გავლენას ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. მეორე უკავშირდება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების საკითხს – დასაქმებული მოსახლეობა სხვადასხვა ვითარებაში აღმოჩნდა. ნაწილმა მიიღო ანაზღაურება, ნაწილი კი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა.

9. პროგრამის მონიტორინგის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დონე. როგორც კვლევამ ცხადყო, სოფლის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ჩართული იყო ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა-პრიორიტეტიზაციის პროცესში, თუმცა მათი მონაწილეობის ხარისხი შესრულებული პროექტების/სამუშაოების მონიტორინგში დაბალი იყო. ამის ძირითად მიზეზებად, ერთი მხრივ, შეიძლება დასახელდეს მოსახლეობის მხრიდან მონიტორინგის განხორციელების გაწერილი ფორმების არ არსებობა, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათთვის ანგარიშის ჩაბარების წესებისა და პროცედურების არ არსებობა.

² ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა 2010 წლის მარტი-მაისი თვეში, შესაბამისად, მასში ვერ მოხვდა 2010 წლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხი.

10. მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარება. როგორც კვლევამ ცხადყო, თვითმმართველობის მოხელეების უმრავლესობა აცხადებს, რომ მეტწილად ინდივიდუალური შეხვედრების გზით, ზეპირსიტყვიერად ხდება მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარება, თუმცა რიგ შემთხვევებში ხდება ინფორმაციის მიწოდება სხვა ფორმებითაც. მნიშვნელოვან შემთხვევებში აღნიშნული ფოკუს-ჯგუფების მიერ არ დასტურდება. რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის განსხვავებულობის მიუხედავად, ცალსახაა რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ამ კუთხით არ არის საკმარისი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ არ არის წინასწარ განსაზღვრული ანგარიშის ჩაბარების ფორმები და წესები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდას.

11. მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოკვეთილი სპეციფიკები. როგორც კვლევამ ცხადყო, ხელვაჩაურისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა მთელ რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისაგან. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება მოსახლეობის ინფორმირებულობისა და კონსულტაციებში მონაწილეობის საკითხებს (2010 წლის პროგრამის იმპლემენტაციის კვლევის შედეგებით). კერძოდ, ხელვაჩაურისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებში დაფიქსირდა ინფორმირებულობის უფრო მაღალი დონე, აგრეთვე მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ უშუალო მონაწილეობა აქვთ მიღებული კონსულტაციებში, ან სმენიან ასეთის გამართვის შესახებ (ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ფოკუს-ჯგუფები აპრილში და მაისის დასაწყისში გაიმართა). განსხვავებული მდგომარეობაა ამ მხრივ ქობულეთსა და ოზურგეთში, სადაც ინფორმირებულობისა და კონსულტაციებში მონაწილეობის უფრო დაბალი დონე დაფიქსირდა (ქობულეთსა და ოზურგეთში ფოკუს-ჯგუფები მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში გაიმართა).

12. სოფლის მაცხოვრებელთა რაოდენობიდან გამომდინარე სპეციფიკები. როგორც კვლევამ ცხადყო, სოფლის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე რაიმე განსაკუთრებული სპეციფიკები არ გამოკვეთილა, აღნიშნული ეხება პროგრამის იმპლემენტაციის მთელ პროცესს.

5. 2. რეკომენდაციები